საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
ლისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა
ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფ. № 15—73.
მართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

ლიწადი მეექვსე.

პარასკევი, ოქტომბერს 8. 1920 წ. № 116

ფასი **10** მანეთი

ეროვნულ-დემოკრატიული

✖✖ პარტიის მთავარი კომიტეტი ✖✖

თავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

დივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

სოფელ წინამძღვრიანთ, კარის მოქალაქენი ქალნი და კაცნი, დიდი და პატარა, ამავე სოფლის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელნი და მოწაფენი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ კვირას, 10 ოქტომბერს, ამავე სოფელში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სოფლის დიდი მომაგის და ამავე სკოლების დამაარსებელის და მზრუნველის,

ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღის; წირვა დაიწყება დილის 10 ნახ. ს., მხოლოთ პანაშვიდი 12 ნახ. საათ. 3163 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პროსპექტი, № 21; ტელ 8—07)

დრამატიული საზოგადოების გამგეობა

სეზონი 1920-1921 წლისა

დასის შემადგენლობა

(ანბანის რიგით)

მსახიობნი:

ლ აბაშიძე
ო აბაშიძე
დიმერ ალექსი-მესხიშვილი
ა ამირეჯიბი
კო ანჯაფარიძე
ლ არაბიძე
ანა ბეჯანიშვილი
ბოლე გამრეკელი
ო გამრეკელი-თორელი
ილ გელოვანი
რო გომელაური
რგი დავითაშვილი
ო დავითაშვილი
ნე დონაური
ო ვასაძე
ა ზარდალიშვილი
ქსანდრე იმედაშვილი
ტონ კორიშელი
თა ლოლუა
ილ ლორთქიფანიძე
მია მესხი
ტრი მჟავია
რო მურუსიძე
ო როსტომაშვილი
ილ სარაული
რგი სარჩიმელიძე
ე ფრანგიშვილი
ნი ფრონისპირელი
ს ქიქოძე
ტი ქიქოძე
მპიადა ლოლობერიძე
ქსანდრე ყალაბეგიშვილი
ა შოთაძე
ო ციციშვილი
ო ციმაკურიძე
ა ჯიქია
საბედ ჩერქეზიშვილი
ა ჩხეიძე
ო ჩხეიძე
ე ხონელი
ძე ჭავჭავაძე
ილ ჭიაურელი

რეჟისორები.

ვლადიმერ ალექსი მესხიშვილი
ალექსანდრე ახმეტელი
აკაკი ფაღავა
მიხეილ ქორელი
ალექსანდრე წუწუნავა

მორიგი რეჟისორი.

შაქრო შერიშვილი

თანაშემწენი:

ნინო გამრეკელი თორელი
ალექსანდრე გველესიანი

სცენარიუსები:

გიგო იორდანიშვილი
კუკური პატარიძე

მოკარნახენი:

სერგო ამაღლობელი
ბეგლარ ახოსპირელი
ანტონ სვანაძე

მხატვარნი:

ალექსანდრე ზალცმანი
ვალერიან სიდამ.-ერისთავი

დეკორატორი:

დიმიტრი ნალებაშვილი

თანამშრომელნი:

ალექსანდრე ალავიძე
ისაკ ანთაძე
გიორგი ბახტაძე
პანტელეიმონ ბერაძე
არჩილ გიორგაძე
ზაქარია გრემი
ქეთევან ინასარიძე
ამბროსი იობიძე
ალექსანდრე კუპრაძე
იოსებ მათიაშვილი
გრიგოლ მაისურაძე
ვიქტორ მამალაძე
დომენტი მელაძე
ლევან მესხიძე
ვალერიან მინდელი
ვლადიმერ მჭედლიშვილი
ილია პაატაშვილი
ნიკოლოზ რიჟამაძე

უახლოესი რეპერტუარი:

ორიგინალი

ინდელნი“—შალვა დადია-
ა, „დარისპანის გასაჭირი“ და
ს ბედნიერება“,—დ. კლ
ილისა, „ბერდო ზმანია“ და
რ ვინო მეფენი“—ალ. შა-
ვილისა, „რაც გინახავს, ვე-
ნახავ“—აკაკი ცაგარლი-
„მსხვერპლი“—ი. გედევანი-
სა.

ნათარგმნი

„ოიდიპოს მეფე“—სოფოკლესი, „ოტელო“ და „ჭირვეული ცოლის მორჯულება“—შექსპირისა, „მარიამ მაგდალინელი“—ჰაიზესი, „სასტუმროს დიასახლისი“—გოლდონისა, „ექიმი შტოკმანი“—იბსენისა, „ზღვასთან“—ენგელისა, „სიცრუე“ ვინნიჩენკოსი.

2—67—4

განცხადება.

1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმათ.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს** და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან აკრძალულია.

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4,000 მ.
ბ) სუფთა—ახალქალაქის და სხვა რაიონების 4,500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად განაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

63. 5—1.

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას „მწყემსს“, რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1. მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. 10 პროც.
2 მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.
3. სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის. ბაზარზე.—

მომარაგების სამინისტრო.

თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს, რომ, **25** ოქტომბერს დღის **12** საათზე სასწავლებლის შენობაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

შემდეგი საგნების გასაყიდათ:

გირაგები, 2. წნეხები, 3. ჩარხები სახარატო და საბურღავი, 4. ქურები, 5. ვარცლები, 6. გრდემლები, 7. დაზგები, 8. საწოლები, ლეიბები, ბალიშები 8. სამზარეულოს ჭურჭლეულობა და სხვა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება 18 ოქტომბრიდან 12—2 საათზე. დიდი მთავრის ქ., № 70. 3164 1—1

ევროპიდან ახლად დაბრუნებული

ბ-ნი ტიტე მარგველაშვილი

წაიკითხავს ლექციას.

„სოციალიზმი და ევროპის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა“

თეზისები:
1) სიმდიდრეთა განაწილების პროცესი,
2) წარმოება და მუშები,
3) წარმოების დაცემა,
4) ევროპის დავალიანება,
5) მუშათა კავშირები,
6) სოციალისტური პოლიტიკა,
7) სოციალიზმის მარცხი,
8) საქართველო და სოციალიზმი,
9) საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა,
10) ევროპა და საქართველო (ეკონომიური პარალელი).

1. ზესტაფონში კვირას 10 ოქტომბერს
2. ჭიათურაში სამშაბათს 12 „
3. სამტრედიაში ოთხშაბათს 13 „
4. სენაკში ხუთშაბათს 14 „
5. ფოთში პარასკევს 15 „
6. ლანჩხუთში კვირას 17 „
7. ოზურგეთში სამშაბათს 19 „
8. ბათომში ხუთშაბათს 21 „

სტუდ. და მოსწავ. კომიტეტი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა

8 ოქტომბერს

ევგენი ონეგინი

მონაწ. ბოიარსკაია, ოვსიანიკოვა, ზალიპსკი, დროზდო—პოლიაეკი ისიცკი, დემიანენკო, ებროვი, ქურხული

9 ოქტომბერს
ოპერა მუშებისთვის

სევილიელი დალაქი

ოპერის დირექტორი: **ს. ი. ევლახიშვილი**

ავგიოზის თავლა

მმართველმა პარტიამ სავსებით ამოსწურა თავისი პოლიტიკური შემოქმედების ავლადიდება. ის ხანა, რომლის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტია „უკონკურენციოდ“ განაგებს ქვეყნის ბედს, ჩვენ გვაძლევს მრავლისაგან მრავალ საბუთს გადაჭრით ვთქვათ, რომ მესვეურთ რაც სათქმელი ჰქონდათ სთქვეს და გასაკეთებელიც გააკეთეს! შემდგომი მათი მოქმედება უკვე იქნება უღაზათო განმეორება განვლილი მეთოდებისა და ცდისა...

ხოლო ის, რისი მნახველი მთელი ამ დროის განმავლობაში ძალაუნებურად ვიყავით, თ იგულს ვერ შეჰპატებს მენშევიკების გვირგვინს! მყვირალა ფრაზეოლოგიამ გამოგვაყრუა! მიტინგებმა და რეზოლიუციებმა თავბრუ დაასხა გულუბრყვილო ხალხს, მაგრამ როდესაც ამ მკვეხარა ადამიანებს საქმის გაკეთება მოსთხოვეს, მაშინ გამოირკვა სრული უიმედობა და უნიათობა მმართველებისა!

სოციალ-დემოკრატების დაქირავებული მწერლები მაინც გაბედულად გაიძახიან, რომ მათმა პარტიამ შესაძლებლობის ფარგლებში ნიჭიერად და ნაყოფიერად შეასრულა მინდობილი მოვალეობა და თუ ამ ჟამად საქართველო ვერ არის მაინცა და მაინც წესიერად მოწყობილი: ეს აიხსნება მსოფლიო მიზეზებით, იმ საერთო არევდარევით, რომელსაც პატარა საქართველო ვერავითარ შემთხვევაში ვერ ასცდებოდა..

თავის თავად ცხადია, რომ მმართველ პარტიას იმაზე მეტს ვერც მოვთხოვდით, რისი მოცემაც მას შეეძლო. მისი პერსონაჟები არ იძლეოდნენ საბუთს გვეფიქრა, რომ მათს ხელში ქართველი ხალხი განცხრომას მიეცემოდა და შეწუხებული ქვეყანა სიუხვით აღივსებოდა. მაგრამ ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, რომ სამი წლის მანძილზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის „სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა“ კატასტროფის წინაშე დააყენებდა საქართველოს სახელმწიფოს, დასცემდა და გააღარიბებდა ხალხის სიმდიდრეს, მოსპობდა საშუალებას ეკონომიურ აღორძინებისათვის...

მთელს საქართველოში დღეს გაბატონებულია სოციალ-დემოკრატიული პარტია: საკანონმდებლო ორგანო, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება, მუნიციპალიტეტი, შეიარაღებული ძალა, მილიცია, სხვადასხვა რაზმები,—ერთის სიტყვით მთავრობის თავმჯდომარიდან დაწყებული უკანასკნელ გზირამდე—ყველგან სოციალ-დემოკრატები განაგებენ, ყველგან ისინი ბრძანებლობენ—ზოგგან დანიშვნით, ზოგგან „დემოკრატიული“ არჩევნებით.

რა ყოფაშია საქართველო? სურათი დღევანდელი ვითარებისა პირდაპირ შემაძრწუნებელია. მმართველობის თითქმის ყოველი სფერო მოუცვია საშინელ ვაკხანალიას! ქურდობა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა სისტემად გადაიქცა! ბნელი სუბიექტებით აივსო ჩვენი ბედკრული ქვეყანა, ჭუჭყიანი ადამიანები დაუსჯელად აკეთებენ თავის ბნელ საქმეებს, უჭკუო-უსმელი ხალხი-კი სხვაგან ეძებს უკუღმართობის მიზეზს, მსოფლიოს კატავასიაში ჰხედავს მშრომელი მასსის გალატაკების საფუძველს.

სად არიან ეს ყოვლად შემძლე, „დემოკრატიულად“ არჩეული დაწესებულებანი? რას აკეთებენ ერობები, ქალაქის თვითმართველობები და სამინისტროები? ნუ თუ ყველა ისინი მართლა ფატალისტურად ურიგდებიან კარზე მომდგარ სიკოტრეს და ვერ ამჩნევენ უფსკრულს, რომლისაკენაც მიექანება ჩვენი სამშობლოს, ნუ თუ ისე დაუჩლუნგდათ სოციალ დემოკრატებს გონება, რომ ქართველი დემოკრატიის მინიმალურ გამოკვებას მსოფლიოს არევდარევას უკავშირებენ?! ძალიან ცუდი წარმოდგენა ჰქონია მმართველ პარტიას საქართველოს დემოკრატიაზე, თუ იმედოვნებს, რომ ამგვარი განმარტებით ის სრულიად დაარხეინდება და დაქირავებულ კლაკიორებთან ერთად

ბ. ბ. რეჟისორები მხატვრები

არტისტები ლიტერატორები,

ჟურნალისტები და ყველა
ის პირნი, ვისაც დამოკიდებულება აქვს

✦ ხელოვნებასთან ✦

მოწვეულნი არიან კვირას, 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე

კინო „მინიონში"

სადაც დირექციის თანხმობით შეფასებული იქნება სურათი

როს თვით შენ გიყვარს, მხევალად გიმზერთ შენ
ხოლო დედოფლობ,
როს შენ უყვარხართ

დრამა ხუთ მოქმედებათ, რომელიც ასურათებს

თანამედროვე
ოჯახის
დარღვევას

დადგმა და დეკორაციები ეკუთვნის სახელმწიფო თეატრის მხატვარს
ვ. ა. ხიმ-ვს

სურათს შემდეგში აჩვენებენ თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო კინემოში. კინემოს სახელი და დაწვრილებით ცნობები შემდეგში იქნება გამოქვეყნებული.

1—3165—2

სოციალ-დემოკრატების. გამჭრიახობისა და სიბრძნე' ნოტებს შეაწევს!

დიდი თავხედობაა საჭირო, რომ ხალხს მისი გაჭირვების მიზეზი ევროპა, ამერიკის მდგომარეობაში აძებნინო, როდესაც ეს ხალხი თვალდათვალ ჰხედავს, როგორის მოურიდებლობით ბნელი ელემენტები „ლეგალურად" ჰპარავენ მას სარჩო საბადებელს, სტაცებენ უბიდან უკანასკნელ ლუკმას...

სად არის ხსნა? ამყაყებულ ჭაობში სურნელოვანობა მილებით, რომ შეასხა, სიმყრალე მაინც თავისას გაიტანს და ჰაერიც კვლავინდებურად მოწამლული დარჩება... საქართველოს მხოლოდ რადიკალური განწმენდა თუ უშველის, თორემ პალლიატივები, ეს ნახევარი ზომები, არსებითად ვერც გამოასწორებენ საქმეს და უსიქოლოგიურადაც ჰვნებს მდგომარეობას, როგორც ნარკოზი...

ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ, რომ დაღუპულ საქმის გამობრუნებას ნახევარ ზომებით ლამობენ. აღიარებულია ფაქტი ცინიკურის ქურდობისა ყველგან, სადაც კი ფათურობს ბილწი ხელი სასურსათო აგენტებისა. მთავრობის თავმჯდომარე მიხვდა, რომ „დემოკრატიული" თვითმართველობანი და სოციალ-დემოკრატიული უწყებანი „თითს არ ანძრევენ" ავაზაკების დასასჯელად და ხალხის ქონების დასაცავად.

განრისხებული პრეზიდენტი თვითონ შეუდგა ზომების მიღებას...

შეიძლება ამან ნაყოფი ვერ გამოიღოს და დაუსჯელი ვაკხანალია კვლავ გაგრძელდეს ჩვენს რესპუბლიკაში.

მაგრამ დღევანდელ გამგებელთ ეს ზომებიც მიუღებლად მიაჩნიათ: ისინი იცავენ „დემოკრატიულ ორგანოების პრესტიჟს" და მოითხოვენ, რომ „რევიზორები" უმაღლეს მმართველმა — დამფუძნებელ კრებამ — დანიშნოს...

სახლი, რომ იწვის, სულ ერთი არ არის საიდან შეასხამ წყალს: კარიდან, თუ ფანჯრიდან?!

არხეინად იყავით: თქვენს კლიენტებს შიში არ მოელით...

მომარაგების სამინისტროში.

5.

გაზეთი „ერთობა" გამოეხმაურა ჩვენს წერილებს მომარაგების სამინისტროს შესახებ. ბ-ნი ენი შორიდან იწყებს და ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საზოგადო მხარეებს ასაბუთებს. ამ ჟამად ავტორი თამბაქოს მონოპოლიას იხილავს და ამტკიცებს, რომ ამ დარგში მომარაგების სამინისტროს მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყოო. ყველა იმ კითხვებზე, რომელსაც ბ-ნი ენი უყენებს „საქართველოს" ის ღირსეულს პასუხს მიიღებდა ალ. ასათიანის და სპირიდონ კედიას სიტყვებიდან შესახებ მონოპოლიებისა, რომელნიც ამ დღეებში იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთებში, მაგრამ ალბად ბ-ნი „ენი" -ქ მოყვანილ საბუთებს არ გაცნობია. ჩვენ მოუცდით ბ-ნ „ენის" წერილების დასრულებას და შემდგომ ხელახლა დაუბრუნდებით მისი პასუხის განხილვას.

ჯერ ჯერობით კი... ჩვენ განვაგრძობთ მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობის მხილებას. ჩვენ მკითხველებს გავაცნობთ სახელმწიფო კონტროლის ზოგიერთ მასალას.

ისიდ კახელაძე.

სახელმწიფო
კონტროლიორს

მოხსენება უფროს რევიზორის ა. ლ. შავგულიძის შესახებ მომარაგების სამინისტროს რწმუნებულის რევიზიისა 30 ენკენისთვე 1920 წ. № 166 ქ. ბათომი.

თანახმად საოლქო კონტროლიორის მოწერილობისა ამ წ. ენკენისთვეს 6 თარიღით № 1-ით, მე მქონდა დავალებული წარმომადგენლობა მომარაგების მინისტრის დანიშნულ კომისიაში, რომელიც შესდგა ქ. ბათომში მომარაგების სამინისტროს რწმუნებულ კახელაძის ოპერაციების განსახილავად. სანამ დეტალურად შეუდგებოდე რევიზიის შედეგის არსებითად გადმოცემას სურვილი მაქვს გამოსთქვა საკუთარი აზრი იმ არანორმალურ მდგომარეობისა, რომელშიაც მე მომიხდა მუშაობა 8 დღის განმავლობაში.

როგორც ბ. მომარაგების მინისტრის მოწერილობა ამა წ. აგვისტოსა 30 თარიღით № 320 ით უწყის კომისიას ევალებოდა მოეხდინა რევიზია რწმუნებულის საქმეებისა, მაგრამ როგორც იმავე სამინისტროს ამა წ. აგვისტოს 31 თარიღით № 1562 878 მომართვიდან სჩანს, სამინისტრო, კომისიის დანიშვნას წინასწარ ატყობინებს რწმუნებულ კახელაძეს, რომლის გამოისობით რევიზიამ დაჰკარგა სრული თავისი მნიშვნელობა და მიიღო ფორმალური ხასიათი.

მეორე უდიდესი დეფექტი კომისიისა გამოიხატება შემდეგში: აღნიშნულ კომისიაში მოყვა თავჯდომარედ ბ. დავიდოვი, რომელიც, როგორც აქვე დართული საბუთები გადმოგვცემენ, კომისიის მოქმედების დაწყებამდე ყოფილა კახელაძესთან, უკანასკნელს იგი გაუგზავნია თბილისში (კურიერათ, როგორც თვათ დავიდოვმა განაცხადა სიტყვიერად), რაზედაც მიუღია შესაფერისი გასამჯელო მაგალითად; გზის ხარჯებ-მიუმატოდ დღიურები (იხილეთ დართული ანგარიშები), ანგარიშის წარმოდგენის მეხუთე დღეს იწყება რევიზია ყოფილ კურიერ დავიდოვის თავჯდომარეობით, რასაკვირველია ასეთი პიროვნება, დამოკიდებული მატერიალურად მასზედ, ვისაც რევიზიას უკეთებდენ, იქნებოდა ყოველივე ობიექტიობას მოკლებული. ამის შესახებ მე ბევრ მტკიცებას არ დავიწყებ, ვინაიდგან ეს ფსიხოლოგიური ინსტიქტი ბუდობს ასეთ პიროვნებათა შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებანი, რომელსაც მე ვამჩნევდი მომარაგების სამინისტროს მიერ დანიშნულ კომისიის წევრთ. ისინი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი განსაზღვრულ მუშაობის საათები შემდგომ მართავდნენ კოლოკვიუმებს და უკანასკნელის მეოხებით გამოდიოდნენ სხდომებზე მომზადებულნი ერთხმად. ეჭვს გარეშეა ასეთი რევიზია ჩაჰქმალავდა იმ ცუდ მხარეებს, რაც უნდა ყოფილიყო გაშუქებული. აი ამ პირობებში რევიზია ჩემის აზრით ვერ ჩამოყალიბდა წესისამებრ, ვერ მოგვცა ის დადებითი მხარე, რაც საჭირო იყო სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელისათვის...

ამასთანავე მინდა ხაზი გაუსვა იმ დეფექტებს, რომლებიც იყო კომისიის მიერ ნახული.

1. რწმუნებულის კასის გაშინჯვის დროს შეუძლებელი გახდა გამორკვევა ფაქტიურად ხაზინის ფულის ჯამის რაოდენობისა, ვინაიდგან, როგორც მან განაცხადა მას ჰქონია მიბარებული სხვისი ფული, სადაც არ სჩანდა იზოლიაცია სახაზინო ფულისა, არც სპეციალური ფულის შესანახავი კასა მას არ აღმოაჩნდა.

ამასთანავე ხაზინის ფულთან ვნახეთ ნიკოლაზის და კერესკის კუპიურები, თუმცა უმნიშვნელო ჯამი, მაგრამ აქ იბადება საკითხი, საიდან მოჰყვა ესენი? ამის ახსნა განმარტება შეიძლება ბევრნაირად...

2) რწმუნებულის მიმდინარე ანგარიშში ცენტრობანკში იყო მიბარებული სახალხო გვარდიის წარმომადგენლის ფარნიევის 3,000,000 მან., რაც გაუგებრობას იწვევს

3) ხაზინაში, სადაც ინახება სამინისტროს სხვა და სხვა საქონელი მიტოვებულია ექსპედიტორების სინდისზე, არც სათანადო წიგნებია საქონლის მოძრაობის, რასაც შეუძლია ბევრნაირი ზარალი.

4) გასავალი ფულის ყოველივე საბუთები, არ გატარებულა რიგიანად წიგნებში, ვინაიდგან რწმუნებული ჯერ უგზავნიდა სამინისტროს დასამტკიცებლად, რომლის დადებით პასუხს მოყვებოდა წიგნებში გატარება. აქაც შესაძლოა კომბინაცია, რადგან განუხილავი ანგარიშებში ჩაწერა ბადებდა ერთგვარ რისკს რწმუნებულისათვის.

საზღვარ გარეთულ ვალიუტის და კერძოთ სტერლინგების მოძრაობა გამოურკვეველი დარჩა ვინაიდგან ვერ გავიგეთ თუ რამდენი იყო შემოსული სამინისტროდან რწმუნებულის კასაში.

5) ანგარიშები 18.657.677 მან. საღერბო მარკებით არ იყო ანაზღაურებული.

6) მუშებზე გაცემულ ფულის კვიტანციებში, სადაც ჯამი აღემატებოდა 100 000 მან. არ იყო ნაჩვენები, საიდან ან სად გადიტანეს საქონელი. ზოგ ანგარიშებს არ ჰქონდა დატა, აგრეთვე აკლდათ სხვა იურიდიული რეკვიზიტები. რწმუნებულთან იყო ერთი და იმავე გაცემულ ფულზე ორი ანგარიში.

ამასთანავე მოვიხსენიებ 540 ფუთი მანნი კრუპის შესახებ; როგორც დართულ ჩვენებებიდან სჩანს მანნი კრუპა გაუყიდნიათ, რაზედაც შეუდგენიათ აქტი ვითომც წამხდარია გადაეყაროთ.

მოხსენებასთან დართული ოქმები 12 ფურცელი.

მანნი კრუპის ჩვენებები . . 31 „ „

უფროსი რევიზორი

ა. შავგულიძე

უცხოეთში

ყირიმში.

(ყირიმის უკანასკნელ გაზეთებიდან)

ჩვენმა რედაქციამ ყირიმიდან მიიღო იქაური გაზეთების უკანასკნელი №-ები.

სიძვირე.

ყველა გაზეთები სავსეა წერილებით წარმოუდგენელ სიძვირეზედ. თუ რამდენათ მწვავეა დღეს ყირიმში სასურსათო კრიზისი სჩანს შემდეგი განცხადებებიდან:

„იალტის სავაჭრო სამრეწველო კავშირი შეუდგა მცხოვრებლებისათვის შაქარის განაწილებას. გირვანქა 9,500 მანეთად გაიყიდება!

№-ი ყირიმის გაზეთები ღირს 500 მანეთი.

ან და ასეთი ცნობა:

„გენიჩესკი დღეს ერთად ერთი პორტია აზოვის ზღვაზედ, საიდანაც იგზავნება ხორბალი ყირიმში და საზღვარგარეთ. ხორბალს ცვლიან ფეხსაცმელებში, რომელიც იტალიელებს მოაქვთ.

იტალიის მთავრობისაგან, საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმის მეთვალყურეობისთვის გამოგზავნილია ინჟინერი ელიკი.

მახნო.

ყირიმის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ცნობილ მახნოს, რომელიც დღე უკრაინაში ბატონობს თავისი ამალით. გაზეთი „ზარია როსიი", ასე ახასიათებს მას:

„რა არის მახნო და მისი მოძრაობა, რომელიც მთელი უკრაინის წალეკვას ლამობს.

ერთნი მას ეძახიან ყაჩაღს, მეორენი — ანგარებით აღსავსეს, მესამენი — ფანატიკოსს, სხვები — სახალხო გმირს.

მისი სახელის გარშემო ლეგენდები იქმნება და მახნო ისტორიულ „ფიგურათ" ხდება. ჩვენის აზრით რუსულ რევოლუციონური მტრების არ არის და არც ლენინ-ტროცკის მიერ ბოლშევიკებში გაღვიძებულ რუსეთის გლეხობის წარმოშობის არ უნდა იყოს.

როგორც დათვი გამოვიდა ის თავის სოროდან და წავიდა „დასანგრევათ" ყველაფრის, რაც მას გზაზედ ხვდება, ვიდრე ინსტიქტი მას სხვა ძალას არ უკარნახებს.

მახნო — ავანტიურისტია, ყაჩაღიც და სახალხო „ატამანი"ც, იგია ამავე დროს მსაჯულიც და ყველაფერი რითაც რევოლუციის უცნაურ ხვეულებში დახასიათდა რუსეთის ხალხი, მახნომ თავის ბუნებაში განასახიერა მთელი რუსის ხალხის ფსიხოლოგია.

მახნო გლეხების ღმერთია, რადგან იგი განხორციელებაა მათი ველური იდეალისა — ინტელიგენტობის და „ყველა დებს საყურეები".

„ატამან მახნომ მიიპყრა ყურადღება მთელი რუსეთის და ერთი რგოლები შეისკვნენ ყველა ბნელი სიმკაცრენი ხალხისა და მთელი სიდიადე განგებისა: საშინელებისა და განსაცდელისაგან — განახლების სიმაღლისაკენ.

ბოლშევიკები „ქემალისტებთან".

გაზ. „იუჟ კრაი" სწერს:

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ბოლშევიკების დელეგაცია აეროპლანით ჩამოფრინდა ტრაპიზონში და დაუყონებლივ შეუდგა მოლაპარაკებას ქემალისტებთან, რომელთაც ჩამოუტანეს ფული და დიდძალი კომუნისტური ლიტერატურა ფრანგულ ენაზე.

ჰინდენბურგის განცხადება

„ევენინგ სტანდარდ"-მა გამოაქვეყნა მარშალ ჰინდენბურგის აზრით განცხადება გერმანიის თანამედროვე მდგომარეობაზე: „სრულიად დაუშვებელია ის აზრი, რომ კიდევ ვინმემ იფიქროს, ვითომც გერმანეთს შეეძლება ახალი ომი გააჩაღოს და ამ ომის ინიციატორი თვითვე გახდეს. ჩვენ იმდენი ჯარისკაციც კი აღარა გვყავს, რომ შინაურ წესიერების დასაცველად მუდამ სად გვყავდეს თოფით ხელში. ვგონებ ისე სჩანს, რომ თვით მოკავშირეებს არ უნდათ, რომ გერმანიაში წესიერება იყოს დამყარებული. ვის გახსოვთ, რა დიდი ამოცანა იყო ამერიკისთვის, რომ ერთი მილიონიანი არმია შეექმნა! გაიხსენეთ, როგორ გაუძნელდა ინგლისს ომისთვის საჭირო არტილერია დაემზადებინა, შეექმნა საჰაერო ფლოტი, საჭირო ამუნიაცია და სხვა. მაგრამ ყველა ამას უნდა დრო და გარემოებაც ხელს უწყობდეს, მაშინ როდესაც გერმანიას მტრები მოსვენებას არ აძლევენ. მთელი ჩვენი ტერიტორია ეხლა უცხოთა ხელშია. და ბევრიც გვინდოდეს, ვიდრე ჩვენ რამეს მოვახერხებდეთ, ვიდრე საომრად მომზადებულად ჩავითვლით თავს, საფრანგეთიც ხომ გულ-ხელ დაკრეფილი არ იჯდება, მით უმეტეს, რომ იგი ხელ-ფეხ გახსნილია და გერმანიასავით არაა შეზღუდვილი.

მიუხედავათ ამისა გერმანიას სჭირია არმია. საბჭოთა რუსეთი უკვე გერმანიის კარებს მოადგა. მე არ ვიცი, რა მიზანი აქვს მოსკოვის მთავრობის და არც ის ვიცი, რამდენად გულწრფელია მათის სამშვიდობო განცხადებანი, ერთია ის, რომ გერმანია მუდამ ფრთხილად იყოს და სადარაჯოზე გამჭრიახი თვალი აღმოსავლეთის მოსალოდნელ საფრთხის ასაცილებლად უნდა ეჭიროს გახელილი. მაგრამ თუ მათ ჩვენ მომზადებული არ დავხვდით და საბჭოთა რუსეთმა გერმანიაში შემოსდგა ფეხი, უნდა იცოდნენ ყველამ, განსაკუთრებით საფრანგეთმა, რომ წითელი ცეცხლი გერმანიასაც წაახდენს და მალე საფრანგეთსაც გადაჰბუგავს...

ფიქრები და დაკვირვებანი.

1.

არსად, არც ერთ ქვეყანაში საზოგადოება და ქვეყნის მართველი წრეები ისე მცირე ყურადღებას არ აქცევენ პრესსას, მასში აღნიშნულს სამართლიან შენიშვნებს, როგორც ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ჩვენებური მწერლის მდგომარეობა ერთი მოსწრებული გურულის სიტყვებს მაგონებს. 1906 წ. რეაქციის დამყარების შემდეგ გურიის მცხოვრებნი მთავრობამ მეტად შეავიწროვა; სოფლები გადაწვეს, ჯართან შეტაკების დროს დაზარალებულ მხედართა ოჯახების სასარგებლოდ სამძიმო გადასახადი დააწესეს. ერთი გურული, გამწარებული ამ მკაცრი წესებით, სოფლის მასწავლებელს ჰლანძღავდა „თქვენი ბრალია ყველა ეს უბედურება, თქვენ აბრიყვებდით ხალხს და ეხლა კი იმალებითო, უნდა შევატყობინო მთავრობას, რომ თქვენ გაგროზგნო"; მასწავლებელმა წყრომით უპასუხა: „გაზეთში ავსწერ ჩვენს ამბავს და საქვეყნოდ გამოვაცხადებ შენს „შავრაზმულ" აზრებსაო"; „მაგით ვერ შემაშინებო — მიუგო გურულმა: „ვინც მე მიცნობს, ის გაზეთს არ კითხულობს და ვინც არ მიცნობს იმისთან რამდენიც გინდა დამაბეზღეო".

მართლაც, ეხლანდელს დროში, თუ მართველი პარტიის ორგანოში არ სწერ ვისაც შენი აზრები შეეხება, შენს ნაწერს მაინც ვერ წაიკითხავს; ამისა მიხედვით ზნეობრივ მოვალეობად უნდა დაედოს საზოგადო მოღვაწეს შენიშნულ უწესოებათა აღნუსხვა: შეიძლება ასში ერთმა მაინც მიაქციოს ყურადღება ცხოვრების ნაკლულოვანების გასასწორებლად გამოთქმულ აზრებს ჩვენი უმთავრესი საკითხი ამ ჟამად ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, მაგრამ ვიდრე რაიმე სენის ექიმობას შეუდგებოდეთ, უნდა გამორკვეულ იქმნეს მიზეზი დაუძლურების, დაავადების

თანამედროვე ცხოვრების ძარღვი ქალაქია მართალია, სოფელი ქალაქს აწვდის საზრდოს, მაგრამ, თუ ქალაქი მოუწყობელია, თუ ქალაქიდგან სოფელი ვერ მიიღებს ყოველი საჭირო საგნის [illegible] საშუალებას, სოფლის ცხოვრებაც ფერხდება, ამიტომ წესიერი მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოში არსებულ ქალაქთა ცხოვრების ჯეროვანად განვითარების საშუალებისა გამონახვას. ჩვენში კი ყოველივე ზომები მიღებულია იმისათვის; რომ ქალაქები დამცირდნენ, დაქვეითდნენ და დაძაბუნდნენ.

კაცობრიობის განვითარების ისტორია გვასწავლის, რომ ქალაქები თანდათან იძენდენ განსაკუთრებულ უფლებებს — პრივილეგიებს; ადამიანთა საზოგადოების წინმსვლელობის ხასიათი ისეთია, რომ განსაკუთრებული წ. ხალხი[illegible] — იმპულსი სჭირია რაიმე [illegible] [illegible] და საზრუნავი [illegible].

რას ვხედავთ ჩვენ ნორჩ სახელმწიფოში? საქმის გამკეთებელი, ყოველი შენობის პატრონი, თითოეული ვაჭრობა-მრეწველობის მიმდევარი კაცი რაღაც აუწერელ შიშს და მწუხარებას განიცდის: თუ ვინმე ისეთი უბედური, რომ მემკვიდრეობით, ან თავის შრომით რომელიმე ქალაქში ორ სართულიანი სახლი აღმოაჩნდა, მის ტანჯვას ეხლანდელ დროში საზღვარი არ აქვს; თუ სახლი თავისუფალია, დაუყოვნებლივ პატრონის დაუკითხავად და მისი სურვილის წინააღმდეგ ძალით უსახლებენ შიგ ვინმე უცნობს და ხშირად [illegible] მდგურებს. თუ ბინა დაკავებულია, მისი დაცლა, განთავისუფლება არავითარი ხვეწნა — ვედრებით არ შეიძლება, ბინის, სასყიდლის გადახდენა პატრონის ნებაზედ არ არის და ამავე დროს ხარჯი და გადასახადი დღითი დღე პროგრესიულად მატულობს. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ სახლი იძლევა შემოსავალს სულ 1500 მ. თვეში და მარტო მეეზოვეს, [illegible] ეძლევა თვეში 3500 მანეთი და სავალდებულო გადასახადს ორი ათას მანეთს იხდის თვეში.

ნუთუ ასეთ პირობებში მოიძებნება ისეთი გიჟი ვინმე, რომ ახალი შენობის კეთებას დაიწყოს, ამ არსებული სახლის შეკეთება — რემონტი მოინდომოს?

ნიკო თავდგირიძე.

დეპეშები.

ფრანგული ცნობები

საფრანგეთი და გერმანია.

თათბირები, რომლებიც სპეციალისტებს შორის დაიწყო, საფრანგეთს და გერმანიის შორის სავაჭრო დამოკიდებულებას აღდგენას ეხება. გამოსარკვევია ხასიათი და რიცხვი ნაწარმოებისა, რომლის გაცვლა გამოცვლაც შესაძლებელი იქნება ამ ორ ქვეყნის შორის.

გერმანული ცნობები.

პოლიციის რეორგანიზაცია

მოკავშირეთა კომისიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სწარმოებს მოლაპარაკება პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ.

გერმანიის კომუნისტები.

დამოუკიდებელ სოციალისტების სხვა და სხვა განცხადებიდან პრესაში აშკარა ხდება, რომ დამოუკიდებელთა უმრავლესობა კომუნისტებს შეუერთდა და საფრანგეთის მიერ მკაცრ ზომების მიღების გამო გერმანიისათვის იბადება საკითხი, ანგარიშს გაუწევენ მომავალში დამოუკიდებლები ვერსალის ზავს თუ არა?

კონტრიბუცია ძროხებით.

პროფესორი სარჯიო გრადენიგო იტალიანურ გაზეთში „იდეი ნაციონალი", კიცხავს საფრანგეთ—ბელგიის სიმკაცრეს, ვინაიდან უკანასკნელებმა გერმანიის ბავშვებს საშინელი შიმშილი მოუსაჯეს, წაართვეს გერმანიას ძროხები იმ უფლებით რომ გამოიყვანოს უკანვე ეს ძროხები, როდესაც მათ საფრანგეთს და ბელგიას გადასცემენ. პროფესორი აცხადებს რომ ასეთი უფლება არის ფარსი და მილიერანს კომედიანტებათ სახავს.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის ფინანსიურმა კონფერენციამ თითქმის ერთხმად მიიღო რეზოლუცია თავისუფალ ვაჭრობის შესახებ, რასაც ყოველთვის მოითხოვდნენ გერმანიის დელეგატები.

პოლონეთი და გერმანია.

ქალაქ ტორნის მუნიციპალური დაწესებულების მოხელენი დაითხოვეს სამსახურიდან, მას შემდეგ რაც ამ მოხელეებმა უარი განაცხადეს ფიცის მიცემაზე, რომ ისინი უარს აცხადებენ ყოველგვარ უპირატესობაზე, რომელიც მათ პრუსიაში დიდი ხნის სამოქალაქო სამსახურით მოეპოვებათ. ასეთი მოთხოვნილება წაუყენა ამ მოხელეებს პოლონეთის მთავრობამ, 204 მოხელე იძულებული იყო დაბრუნებულიყო გერმანიაში, მხოლოდ 4 დარჩა ტორნში.

ცეცხლი გემზე.

თანახმად ჰამბურგიდან მოსულ ცნობისა „ბისმარკზე" საშინელი ცეცხლი გაჩენილა. ცეცხლმა, სრულიად გაანადგურა გემის შინაგანი ნაწილები, ეს გემი უნდა გადაეცათ ანტანტისათვის, უდიდესი გემი იყო ქვეყანაზე იტევდა 55,000 ტონს.

ლიონის ცნობები.

ავსტრია და გერმანია.

ავსტრიის ეროვნულმა კრებამ წინადადება მისცა ვენის მთავრობას 6 თვის შემდეგ მოაწყოს პლებისციტი ავსტრიის გერმანიასთან შეერთების საკითხის შესახებ, ამის გამო „ტანი" სწერს: ასეთი ვადიწყვეტილება არის დამახასიათებელი დემონსტრაცია ს. ჟერმენის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რადგანაც, თუ ეროვნული კრების სურვილის შესასრულებლად მოწყობილი იქნება პლებისციტი, ნათელია, რომ ავსტრიის სურს დაარღვიოს ს-ჟერმენის ხელშეკრულების 88 მუხ., რომლის ძალით ავსტრია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის გამოცხადებული. ეს პირობა შეიძლება შეცვლილი იქნეს მხოლოდ ხალხთა ლიგის თანხმობით, ავსტრიამ თვითონ უნდა შეიკავოს ზემოაღნიშნულ საბჭოსთან შეუთანხმებლად რაიმე მოქმედებისაგან, რომელიც დაარღვევს მის დამოუკიდებლობას, უმეტეს ნაწილად არ უნდა ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს საქმეში. უნდა გვახსოვდეს ვენის მთავრობამ რომ ხელშეკრულების ტექსტი ნათელი და ნამდვილია, ავსტრიის ხალხს ის რომ საგარეო პოლიტიკის მიმართულებას არჩევის საქმეში უნდა იქნეს გულწრფელი, რადგან ანტანტა და განსაკუთრებით საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ მისცემს თანხმობას ავსტრიის გერმანიასთან შეერთების, რადგან ცენტრალურ ევროპაში ის დაარღვევს პოლიტიკურ წონასწორობას. განმარტებით რომლითაც უნდათ შეასუსტონ მნიშვნელობა ეროვნულ კრების მიერ აღიარებულ პრინციპისა არ შეუძლია მოჰპოს ჰან გერმანისტების მიერ შექმნილ სისტემატიური მოძრაობა.

ბურცევის მიმართვა ვილსონისადმი.

პარიზიდან ვ. ბურცევმა შემდეგი თხოვნით მიმართა ვილსონს: „ბატონო პრეზიდენტო! ბრძოლით მოქანცული კაცობრიობა ჯერ კიდევ იმ შეგნებამდე არ მისულა, თუ რა მომაკვდინებელ ფასს უმზადებს მას ბოლშევიზმი, რომელიც იმდენად იდეებს არ ემყარება, რამდენადაც ხიშტებს და აუწერელ ტერორს. თუ ბოლშევიზმი რუსეთშივე არ იქნა დამარცხებული, იგი ყველა ქვეყნებს მოედება და მალე ახალს მსოფლიო ომს გამოიწვევს, იმიტომ რომ იგი მოქალაქეო ომად გადაიქცევა... საბჭოთა მთავრობაზე გამარჯვება შეიძლება მხოლოდ რუსეთის ნაციონალური ძალებით, რომელთაც მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ თანაგრძნობა და დახმარება უნდა გაუწიოს მორალურად, მატერიალურად თუ იარაღით, რუსის ხალხი ვერასოდეს ვერ შეურიგდება ლენ

...ურას. სამხრეთ რუსეთის არმია ...ვრანგელის ხელმძღვანელობით ...ებრძვის ბოლშევიკებს. ფრონ... ბრძოლასთან ერთად ვრანგელი ...უკან ახდენს აგრარულ რეფორ... ფართო გლეხობის დასაკმაყოფი...ლდ... ამიტომ გაერთიანებულ რუ... პროგრესიულ საზოგადოება და ...კრატიულ ყაზახთა სახელით მოგ...თვეთ, აღმოუჩინოთ გენ. ვრანგელს ...ური დახმარება, რათა ბრძოლა ...ევიზმთან ადრე და მალე დაგვირ...ეს... მხოლოდ თქვენი ჩარევა და...ებს რუსეთის განთავისუფლებას იმ ...აჯისაგან, რასაც ბოლშევიზმს ...ებენ.

ინფორმაციო განყოფილების ცნობები.

„ტანი" ამიერკავკასიის შესახებ.

პარიზი. 18 სექტემბერი. „ტანი" ...ს: ამ ერ კავკასიაში მდგომარეობა ...ია, რომ აუცილებელია ყველა ...რკავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო ...ირი და გაერთიანება რუსეთის და ...ლეთის საშიშროების ასაცდენად ...ბეიჯანის მაჰმადიანები საქართვე...ს სთვლიან ბუნებრივ მოკავშირეთ. ...ევ „ტანს" მოყავს ხან-ხოლის სი...ლის ფაქტები და აღნიშნავს, რომ ...ართველოს მთავრობამ მიიღო ზო...ბი, რათა აღარ განმეორდეს ტერო...ტული აქტები იმ პირთ წინააღმდეგ ...მელნიც აზერბაიჯანის სათავეში იყ...ნენ.

საფრანგეთის ელჩი საქართველოში

საფრანგეთის ელჩს ამიერ კავკასია... ბ-ნი ნეტემას „ტანის" ცნობით, ...ძა ორდენი და დაინიშნა პირველი ...ისხის ელჩად.

მდგომარეობა რუსეთში.

პარიზი. 24 სექტემბერი. „ტანი", ...რილში „რუსეთის საშინელი მდგო...რეობა" იუწყება, რომ ტროცკის ...ძანებით მოსკოვის გარნიზონი გა...იერეს კომუნისტების 1 დივიზი თ. ...გამოიწვია ღალატის ხშირმა შემთ...ევამ. პროვინციის ქალაქებიდან ხშირად ...დის ცნობა მცხოვრებლების უკმაყო...ფილებაზე საბჭოთა მთავრობით, ად...ლობრივი კომისრები იძულებული ...ებიან ხოლმე გამოითხოვონ შეიარა...ებული ძალა. განსაკუთრებით უკმაყო...ლება ემჩნევა მუშებს.

რუსეთი.

პარიზი. 21 სექტემბერი „ტანი" ...ვყვებს „ბერლინერ ტაგებლატიდან" ...დმობეჭდილ საუბარს ერთ ერთ რუ...ს გენერალთან) რომელიც თავისი შტა...თ გერმანიის ტერიტორიაზე დაიმა...ა. რუსის გენერალმა და მისმა ოფი...ერმა განაცხადეს, რომ ისინი წითელ ...არმში პოლონეთის სიძულვის გამო შე...დენ წითლებილი დამარცხების მიზეზი ...თ სწრაფ წინსვლაში უნდა ვეძიოთ. ...ეთი შეტევის გამო მოწინავე ნაწი...ლებმაც დაკარგეს კავშირი ცენტრთან ...ა თავის ზურგთან. მცხოვრებლებმა რუ...ეთის არმიის ზურგს უკან დაანგრიეს ...ველა გადასატანი საშუალებანი. ერთ ...რთი მიზეზთაგანი დამარცხებისა იყო ...გრეთვე სამხედრო მასალის ნაკლუ...ლოვანება. დამარცხებამ საშინელი შთა...ბეჭდილება მოახდინა რუსეთის არმიაზე ...ინაიდან მან დაკარგა სამხედრო მასა...ლის უდიდესი ნაწილი. შეეხო რა სა...ბჭოთა რუსეთის მდგომარეობას გენე...რალმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთა...ვრობის მდგომარეობა მოსკოვში მეტად ...მტკიცეაო. ვარშავასთან დამარცხებას ...არ შეუმცირებია მისი ავტორიტეტი. ...გენ. ვრანგელს რუსეთში დიდ ანგარიშს ...არ უწევენ და არც სწამთ, რომ მის შეტ...სერიოზული ხასიათი ექნება, მით უმე...ტეს მის შემდეგ რაც ბოლშევიკებმა ...კოლჩაკი და დენიკინი დაამარცხეს. გე...ნერალმა დასასრულ განაცხადა, რომ ...რუსეთი არასდროს არ დასთანხმდება ...დანცინგის პოლონეთზე შეერთებაზე, ...ვინაიდან ეს დააბრკოლებს რეგულია...რულ დამოკიდებულებას გერმანიასა და ...რუსეთს შორის და უკანასკნელი დამო...კიდებული იქნება პოლონეთიდან. დან...ცინგი რაც არ უნდა დაჯდეს გერმა...ნიას უნდა დაუბრუნდეს.

დაპატიმრება გენუაში.

გენუა. 28 სექტემბერი. გენუის პოლიციამ დიდძალი უცხოელები დააპატიმრა: განსაკუთრებით რუსები და უნგრელები. დაპატიმრებულთ აღმოაჩნდათ დიდ ძალი თანხა რომლის დანიშნულება მათ არ დაასახელეს.

ს. მ. ს. ფ. რ. მ. ცნობები

ინდოეთი დამოუკიდებლობას მოითხოვს

რეველი. ეკენისთვის 27 კალკუტში შესდგა ინდოელების ეროვნული კონგრესი, რომელსაც 5 ათასი დელეგატი დაესწრო. თავმჯდომარემ თავის ვრცელ სიტყვაში კონგრესის სახელით მოითხოვა ინდოეთისათვის დამოუკიდებლობა იმავე საფუძვლებზე, რა საფუძვლებზედაც მიეცა იგი ეგვიპტეს. ამავე დროს მოითხოვა ინდოეთიდან ვიცე-კოროლის გაძევება.

ემიგრაცია ამერიკაში.

მოსკოვი. ენკენისთვის 28. შრომის დეპარტამენტი იუწყება, რომ ყოველ 5000 ემიგრანტები ძიდის შეერთებულ შტატებში სხვა და სხვა სახელმწიფოებიდან. უკანასკნელ ხანებში ამერიკაში შევიდა 300,000 ემიგრანტი.

ზავი ფინეთთან.

იურიევი. ოქტომბრის 6. (რადიო მოსკოვიდან.) დღეს რუსეთ-ფინეთის კონფერენცია, სალამოს პლენარულ სხდომაზე სავსებით მიღებული იქმნა რუსეთ-ფინეთის ზავის პირობები.

მოსავალი ხერსონში.

სტამბოლი. ენკენისთვე. ადგილობრივ პრესამ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები ხერსონის გუბერნიაში მოსავლის შესახებ. უკრაინაში ეს გუბერნია დიდ მოსავლიან გუბერნიად ითვლებოდა. ხერსონის გუბერნიაში დესეტინა მიწაზე 60.80 ფუთი ხორბალი მოვიდა, 65.00 შვრია და 50-60 ფუთი ქერი. მთელ გუბერნიაში დესეტინაზე საშუალოდ 100-120 ფუთი ხორბალი მოვიდა. წინა წლებში კი 160 ფუთზე ნაკლები არ ყოფილა მოსავალი. ეს ციფრები უკრაინაში შიმშილობის მოახლოების მაჩვენებელია. ქალაქებში სრულიად არ იშოვება პური და გამოვიდა სასტიკი ბრძანება გლეხებისათვის ხორბლის ჩამორთმევის შესახებ.

ინგლისი და რუსეთი.

ლონდონი. ენკ. 29. დეილი ტელეგრაფი სწერს: ბრიტანეთის მთავრობას გულწრფელად სურს საბჭოთა რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების აღდგენა. ამისათვის საჭიროა დარწმუნდეს ინგლისი, რომ მის მიერ გაგზავნილი საქონელი და სურსათი მიუვა მცხოვრებლებს და არ მოხმარდება სამხედრო მიზნებს.

რკინის გზის გარშემო.

ნიუ-იორკი. ენკენ. 22. გამოქვეყნდა კანონი რკინის გზის ტარიფის გადიდების შესახებ. ბარგის გადატანის ტარიფი 40 პროც. გაძვირდა, მგზავრთა —20—33 პროც.

საქართველო და რუსეთი.

სტ. მბოლი. სექტემბრის 28. „სტამბოლი" იუწყება: საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა ბათომში ყოფნის დროს განაცხადა: საქართველოს მთავრობა არ შეიწყნარებს საბჭოთა რუსეთის მის შინაურ საქმეებში ჩამორევას და არც საქართველოს ბოლშევიკებს მისცემს ნებას სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციის წარმოებისათვის.

ქალები საბჭოთა რუსეთში

„კრასნაია გაზეთი" ახასიათებს დღევანდელ მდგომარეობას რუსეთში, განსაკუთრებით ეხება პეტროგრადის, ცხოვრებას, რომელიც უსაშინელეს ხანას განიცდის მთელს თავის არსებობის სარბიელზე. მატარებლების მიმოსვლა აქ შეწყვეტილია, რადგანაც ყველა ფრონტის დანიშნულებას ემსახურება, შიმშილით წყდება ხალხი, სიცივე კიდევ უარეს დღეს აყრის. ამავე მდგომარეობის საშინელობის მკაცრი ფერადებით ჰხაზავს ქრისტიანიაში სოც. დემოკრატიული გაზეთის რედაქტორი მეფფე, რომელიც ეხლა ხანს დაბრუნებულა მოსკოვიდან. იგი ადასტურებს „კრასნაია გაზეთი"-ს სიტყვებს და სხვათაშორის ამბობს:" სადღაა გასაქანი გზა? ამ სიცივესა და შიმშილს, ამდენ უბედურებას დაურთეთ ისიც, რომ რუსი ქალები ეწევიან მამაკაცთა მაგიერობას, მათ ნახავთ არა მარტო ქარხნებში და ქუჩების მგვლელად, თუ კი დასაგველად მოიცლიან, არამედ ჯარისკაცების როლში. უმთავრესი საწყობები და საკომისროები ეხლა ქალთა ჯარებისაგან არის დაცული, რადგანაც გამოკლებით ყველანი ბრძოლის ველზე არიან გასულნი, მათ უკვე აქვთ საკუთარი ფორმა...

სომხეთ-ოსმალეთის ომი

სომხეთის დიპლომატიურ მისსიის ოფიციალი ცნობა.

მდგომარეობა ფრონტებზე.

ღვინობისთვის 5 სა და 6-ს საომარ ფრონტებზე მცირე შეტაკებანი სწარმოებს და მზვერავთა კვლევანი.

ბოლშევიკების ძალების თავმოყრა.

ერევნიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს რომ ბოლშევიკები დიდ ძალებს უყრიან თავს სომხეთის ჩრდილო აღმოსავლეთის საზღვრებში—ყაზახის რაიონში.

სომხის კლუბში.

ღვინობისთვის 6-ს სომხის კლუბში დიდი ბანკეტი გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ სომხეთის ყველა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და მოწვეული სტუმრები. ვახშამზე ბევრი სადღეგრძელო იქნა წარმოთქმული ქართველ სომხეთა კავშირის განმტკიცების შესახებ. დაილია სადღეგრძელოები ორივე რესპუბლიკის მთავრობისა, ლაშქრისა და ერის.

მდგომარეობა შავი ზღვის გუბერნიაში.

თბილისში ჩამოსულმა განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარემ, ვორონოვიჩმა შავი ზღვის გუბერნიის მდგომარეობის შესახებ შემდეგი განაცხადა: შავი ზღვის გუბერნიის და სხვათა განმათავისუფლებელ კომიტეტის წევრთა და სხვა გამოჩენილ მომუშავეთა დატუსაღების შემდეგ. სოჭის ოლქის გლეხებმა გააგზავნეს ეკატერინოდარში დელეგაცია საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელებთან თავის მათდამი ლოიალურ განწყობილების გამოსათქმელად და აგრეთვე დატუსაღებულთა განთავისუფლების სათხოვნათ. დელეგაცია მეტად მტრულად მიიღეს. ამის შემდეგ დამოკიდებულება გლეხებსა და საბჭოთა მთავრობის შორის მეტად გამწვავდა. მიუხედავათ ამისა გლეხებს აქაც ღალატზე და არც კონტრ-რევოლიუციაზე არ უფიქრიათ. გლეხობას არც შეეძლო ეფიქრა კონტრ-რევოლიუციაზე შექმნილ შიმშილობის გამო. ვ სოჭის ოლქის მცხოვრებნი საშინელ შიმშილს განიცდის ამ ჟამად დიდი ნაწილი სოჭის ოლქის გლეხებისა სახლდება ყუბანში და ან სტავროპოლის გუბერნიაში, ასეთი გადასახლების შესაჩერებლად საბჭოთა მთავრობამ სათანადო ზომები მიიღო. საბჭოთა მთავრობის მტრული დამოკიდებულება გლეხებთან და მათ მოქმედებასთან გრძელდებოდა. ამასთანავე განსაკუთრებული ეჭვით უყურებდნენ „სტოროვერებს". როდესაც ადლერის კომისარმა დაბეჭდა „სტოროვერთა" სამლოცველო მაშინ სტოროვერები შეიარაღდნენ რითაც შეეძლოთ და დაეცნენ ადლერის გარნიზონს. გარნიზონი გაიქცა, მართველი პირები კი აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელთ. მალე ამის შემდეგ ჩამოაგდეს ზავი იმ პირობით, რომ ორივე მხაოეს უნდა განთავისუფლებია და ტუსაღებულთაგანი დაიტოვეს და სხვაგან გადაიყვანეს. ამ აჯანყებით უნდოდა ესარგებლებიათ ვრანგელის აგენტს გენ. მურავიოვს მაგრამ მისი განზრახვა დამარცხებით დასრულდა და თვით მურავიოვი დაიჭირეს გლეხებმა, მაგრამ შემდეგ გაანთავისუფლეს ისევ პატიოსანი სიტყვის ქვეშ, რომ შავი ზღვის გუბერნიაში აღარ გამოჩნდებოდა. ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა. დაიწყეს სხვა და სხვა პირთა დატუსაღება იმ სოფლებში სადაც მურავიოვი ცხოვრობდა 9 გლეხი საგანგებო განყოფილების დადგენილებით გზების ნაპირებზე დახვრიტეს, ამასთანავე ბოლშევიკებმა აკრძალეს დასჯილთა სხეულების დამარხვა. სექტემბრის 21 გენ. ფოსტიკოვის მოწინავე ნაწილებმა რომლებიც ყუბანიდან წითლებმა გამოდენეს წითელი პოდიანა დაიკავეს. ყაზახთა დიდი რაზმი ღამით დაეცა ადლერს და დაამხვრია მისი გარნიზონი, რომელმაც ხისტისაკენ დაიხია სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ადლერთან მკაცრი ბრძოლები. ბოლოს ბოლშევიკებმა დასცალეს ადლერი. ბრძოლა ხოსტა—სოჭის ახლო გრძელდებოდა, რომ სექტემბრის 26—27 წითლებმაც კიდეც დასცალეს სოჭი. მაგრამ ფოსტიკოვს არ აქვს საბუთი მოელოდეს გლეხების დახმარებას, იმ შავ ზღვაშ თუ ფოსტიკოვმა შეინარჩუნა სოჭის ოლქი, უკანასკნელი ყირიმის ახალ მაზრად გადაიქცევა. მაგრამ ცხადია, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები გლეხები ყირიმის მთავრობის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას გასწევენ.

ძველი ინტრიგები.

სომხები საქართველოს საზღვრების გარშეო „საქმიანობას" არ იშლიან, საქმიანობას საქართველოს წინააღმდეგ. სტამბოლის გაზეთი „ჰაკამარატი" ეხება შეერთებულ შტატების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს და უკვირს, როგორ მოხდა, რომ ევროპის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებს ამ საკითხის ასე უდიერად შეეხება აკვირებთო. შემდეგ დაასკვნის: „თბილისის (?) მთავრობის ხელმძღვანელი მეტად წინ დაუხედავად იქცევიან სოხეთა საკითხში. ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ მათ, თუ კი სურთ საქართველომ გარედ რაიმე დაბრკოლება არ ნახოს, ხელი აიღონ ჟანდარმობაზე, რასაც ისინი თავიანთ მეზობლების წინაშე იჩენენ. იქნებ მაშინ ამერიკაც ხელი დასდოს, და შეიწყნაროს...".

ერ. დემოკ. პარტ. მთ. კომიტ. ცნობები.

მთავარი კომიტეტის სხდომა.

პარასკევს ოქტომბრის 8-ს საღამოს 7 საათ. პარტიის ბიუროში დანიშნულია ერ. დემოკ. პარ. მთავარი კომიტეტის სხდომა, რომლის საგანია, საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა. ყოველი წევრი ვალდებულია დაესწროს.

სტუდენტ. და მოსწ. მთავარ. კომიტეტის ცნობები.

საფაკულტეტო გამგეობათა კრება

კვირას, ოქტომბრის 10-ს საღამოს 7 საათ. პარ. მთავარ ბიუროში დანიშნულია სახელმ. უნივერ. საფაკულტეტო გამგეობათა და პოლიტეხნიკუმის წარმომადგენელთა კრება.

გამგეობათა ყოველი წევრი და პოლიტეხნიკუმის წარმომადგენელნი ვალდებულნი არიან აუცილებლივ დაესწრონ.

ახალი ამბები.

მთავრობაში.

— **მისალმება მთავრობის თავმჯდომარეს.** სოფ. ჩხარიდან მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა არის მოსული: „ჩხარის რაიონის გვარდიელთა ყრილობა გიგზავნით თქვენ მხურვალე სალამს. ჩვენ მზათა ვართ დავღვაროთ სისხლი რესპუბლიკის და საერთაშორისო პროლეტარიატის იდეების დასაცავად. გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს. გაუმარჯოს ინტერნაციონალს. თავმჯდომარე **გამყრელიძე**.

— **დახმარების საკითხი.** მთავრობამ მოისმინა დეკრეტის პროექტი სამხედრო უწყების შრომის უნარ დაკარგულთათვის აღმოჩენის შესახებ და დაადგინა შეტანილ იქმნას ეს პროექტი დამფუძნებელ კრებაში.

— **მფრინავების ჯილდოს გადიდება.** მთავრობამ დაადგინა გაუდიდოს მფრინავებს ჯილდო (პრემია) 100 პროც. სამხედრო სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს სათანადო პროექტი და წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

— **მომარაგების საქმე.** მთავრობამ მოისმინა მომარაგების სამინისტროს მოხსენება და დაადგინა: 1. ნებადართული იქნას რესპუბლიკის საზღვრებში პირადი საჭიროებისათვის ხუთი ფუთი ქერისა და ხორბლის გატანა იმ პირისთვის, რომელსაც სურს თავის მაზრიდან ხორბლის გამოტანა. ნებართვა უნდა აიღოს ერობიდან. ვისაც თავის ხორბალი არა აქვს, თუ სათანადო მოწმობა ექნება თავისუფლად შეუძლია მაზრის სადგურებში იყიდოს ხორბალი. 2. ვინც ამ წესებს არ შეასრულებს და ისე მოინდომებს ხორბლის გამოტანას მას ხორბალი ჩამოერთმევა და თვით პასუხის გებაში მიეცემა. 3. ეს დადგენილება უნდა ეცნობოს ყველა ერობას.

— **რადიო ტელეგრაფი და რადიო ტელეფონი.** შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოებამ მიმართა მთავრობას წინადადებით ძლიერ რადიო სადგურის მოწყობის შესახებ, რომლის საშუალებითაც იქნება ლონდონთან და პარიზთან უშუამავლო დამოკიდებულების დაჭერისთვის განზრახულია რადიო ტელეფონის მოწყობა, რომლის მოქმედების რადიუსი 600 კილომეტრი იქნება. შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება წინადადებას იძლევა განახორციელოს ის მთავრობამ მასთან ერთად საკონცესიო საფუძველზე.

— **შაბიაბანი.** შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებამ გადასცა მიწად მოქმედების სამინისტროს 33,000 ფუთი ინგლისური შაბი-აბანი მეტად იაფ ფასებში. შაბი აბანი რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობისათვის არის დანიშნული.

— **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა შემდეგი განცხადებით: ვინაიდან პირველი საჭიროების საგნები მეტად გაძვირდა, ამიტომ დაწესებულია საშუალო შრომის ხელფასი ქალაქის მუშებისათვის 5,000 მან., სოფლის მუშებისათვის კი 4,800 მან., ამასთანავე ერთად შრომის სამინისტრო წინადადებას იძლევა გადასინჯონ დასახიჩრებულ ჯარის კაცთა დახმარების ნორმებიც.

— **შრომის სამინისტროში.** ხელფასი მუშებს. შრომის სამინისტრო აცხადებს რომ მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ უკლებლივ, მიუხედავათ იმის მუშაობდნენ ისინი ამ დღეს თუ დღესასწაულში იღებდნენ მონაწილეობას.

— **მომრიგებელი კამერა.** შრომის სამინისტრომ ქუთაისისა, სოხუმისა და ბათომის მომრიგებელ კამერების თავმჯდომარეებს, წინადადება მისცა წარმოადგინონ მომავალში ყოველთვიურად ანგარიში მათი მოქმედების შესახებ.

მუშათა ცხოვრება.

სურსათ სანოვაგის მიწოდება მუშებისათვის. მუშათა მაგიდის რწმუნებული გაემგზავრა ბორჩალოში მუშათა მაგიდის საჭირო ნახშირის და შეშის დამზადების საჭიროების მოსაწესრიგებლათ.

სხვა და სხვა.

— სატარიფო პალატაში. სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა ჭიათურის ქალაქის თვითმართველობის დადგენილება ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების შესახებ.

— **გზათა უწყების დეპარტამენტში.** გზათა უწყების დეპარტამენტმა აუცილებელ საჭიროებათ აღიარა საჩხერის ხე-ტყის სახერხი ქარხნის საქმეთა გაფართოვება. გადაწყვიტა ამ მიზნით გაყვანილ იქმნას წვრილ ლიანდაგიანი რკინის გზა და გზის გასაყვანი მუშაობა დაევალოს ახლად შემდგარ მუშათა არტელს. ამასთანავე გააფართოვებენ რკინის გზის საჭიროებისათვის შპალის დამზადების საქმე. საჩხერის აგარაკის 3 ადგილში მოსალოდნელია 250,000 ცალი შპალის დამზადება. მოჭრილ მუხის ხეების გამოტანის დასაჩქარებლად გადაწყდა გაყვანილ იქნას რკინის გზის მეორე ლიანდაგი, რომელიც საქონლის გადმოტანას დოგოვილის ხაზით გააძლიერებს. ამ რაიონიდან შეიძლება გამოტანილ იქმნას 730,000 შპალი. ფიქრობენ რომ თვის ბოლოს უკვე გაკეთებული იქნება რკინის გზის ლიანდაგი საჩხერიდან ხე ტყის სახერხ ქარხანამდი. 8 ვერსის მანძილზე მიწის მოყრა და სილები უკვე მოთავებულია. მუშები უკვე რელსების დაგებას იწყებენ.

— **მისალმება ჯარისადმი.** სამხედრო სამინისტროს სახელზე მოსულია ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულებათა მესამე ყრილობისაგან ჯარისადმი მისასალმებელი დეპეშა.

— **შავი ქვის დამუშავების გაუმჯობესება.** შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებას გაზრახული აქვს შეიძინოს გაუმჯობესებული იარაღები შავი ქვის დასამუშავებლად. ამავე დროს უკვე დაიწყეს ქარხნებისა და ქუჩაბანდ ხიდების შეკეთება, რომელიც შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებას ეკუთვნოდა.

— **ერობის ცხოვრება.** ქუთაისის (საკ. კორესპ.) ქუთაისის სამაზრო ერობამ დაადგინა: საფონდო მიწებიდან ღალის მოკრეფის გასაადვილებლად დაყოს მთელი მაზრა 44 რაიონად. ღალის შემკრებნი იღებენ 10 პროც., ხორბლის რაოდენობას, რომელიც შეკრებილ უნდა იქნეს ყოველ რაიონიდან. უნდა განსაზღვროს რწმუნებულმა თემის წარმომადგენელთან ერთად. მაზრის რაიონებისათვის დაწესებულია შემდეგი ფასი: სიმინდი ფუთი—500 მ. პურზე და ლომზე 50 პროც. მეტი ფასი არის დადებული.

— სავადმყოფო კასების წარმომადგენელთ კონფერენცია. ქალაქის სავადმყოფოთა კასის გამგეობამ დაადგინა: მოიწვიოს რესპუბლიკის სავადმყოფო კასათა წარმომადგენლების კონფერენცია, გადაწყდა აგრეთვე კონფერენციის მომწყობ კომისიაში აირჩიოს საქართველოს და თბილისის პროფესიონ. კავშირის საბჭოთა წარმომადგენლები კონფერენციაზე განსარჩევი საკითხები უკვე აღნიშნულია.

— **საფრანგეთის მისსიის განცხადება.** საფრანგეთის მისსიამ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს განუცხადა: საქართველოს დეპეშათა სააგენტოს საინფორმაციო განყოფილების ცნობაში: ბათომში ბოლშევიკების შესახებ შეცდომით აღნიშნულია, თითქოს სომხეთის ქვეშევრდომი მარკოსიანცი ყოფილი ოფიცერი იყო. მაარკოსიანცი, როგორც საფრანგეთში მცხოვრები სომეხთა ლეგიონის უნტერ ოფიცერი, დამოკიდებულება ჰქონდა ბათომში საფრანგეთის მისსიასთან, საფრანგეთის მისსიას [illegible] მისი საქციელის გამო ეჭვები დაებადა მასაც, რაც ეცნობა საქართველოს მთავრობას, რომელმაც მას თვალყურის დევნა დაუწყო და რასაც მისი დაპატიმრება მოყვა.

— **ბათუმის ნავთსადგურში.** ბათომის ოლქის საგანგებო კომისარმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აცბათუმის ნავსადგურში უკონტროლოთ მრავალი გემი დგას და თითქოს ამას ნობა და უარყო ის ხმები თითქოს კავშირი ქონდეს ვრანგელის ფრონტზე წარმოებულ ოპერაციებთან. ბ. ჩხიკვიშვილი იტყობინება, რომ ამ ხმებს პროვოკაციული ხასიათი აქვს, ვინაიდან ნავსადგურში ამ ჟამად სდგას 4 სამხედრო გემი და არასოდეს არ ყოფილა ხუთზე მეტი.

— **პური.** ბორჯომის ქალაქის თვითმართველობამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მან მიიღო თავის თავზე მცხოვრებლებისათვის პურის მიწოდების საქმე. კერძო ფურნეები დაიხურა. მცხოვრებლებს ეძლევა ქალაქის თვითმართველობისაგან პური გირვანქა 30 მან. ქალაქის თვითმართველობა სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარი დაუჭიროს მის შუამდგომლობა მომარაგების სამინისტროსთან საჭირო ხორბლის რაოდენობის მოწოდების შესახებ.

— **ჯარის კაცის ულუფა.** მთავრობამ მოისმინა მოხსენება სამხედრო უწყების მოსამსახურეთათვის და კერძო დაქირავებულ პირთათვის ჯარის კაცის ულუფის მიცემის შეწყვეტის შესახებ და შეიწყნარა და მოხსენება დაადგინა ასეთი მოსამსახურეთ ამიერიდან სურსათი მიეცეთ მუშათა მაგიდიდან საერთო წესით. იმ რაიონებში კი სადაც მუშათა მაგიდა არ არსებობს, მოსამსახურეთ მიეცეს სამხედრო უწყებიდან ულუფა მაგრამ მუშა მაგიდის ნორმას მიხედვით.

— **სიღნაღი.** 3 ოქტ. (საკ. კორესპ.) დიდმა წვიმებმა დააზიანა ქუჩები. უფრო დაზარალდა ქალაქის ცენტრალური ადგილი. ასეთი ძლიერი წვიმა იყო, რომ დამოკიდებულება სიღნაღსა და ახლო მდებარე სოფლებს შორის შესწყდა. ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქთა კავშირის წინაშე აღმოუჩინოს მას დახმარება ქუჩების შეკეთებაში.

— **ბორჯომი** 4 ოქტ. (საკ. კორესპ.) ბორჯომში არსებულ სახელმწიფოს პირველ სანატორიუმში ავადმყოფთა მიღება შეწყდა. სავადმყოფო ოქტომბრის 15 დაიხურება. შეკითხვებზე ადმინისტრაცია პასუხს არ გასცემს არავის. სანატორიუმის დირექტორი ზანდუკელი.

— **ქუთაისი,** 5 ოქტ. (საკ. კორესპ.) მაზრაში ცარცვა გლეჯა შესწყდა. ყაჩაღების ბრბო, რომლის სათავეში სირბილაძე და ნანიკაშვილი იდგა, მოსპეს. სირბილაძე მოკლეს, ნანიკაშვილი დაჭრილია და საველე სასამართლოზე არის გადაცემული. სამაზრო ადმინისტრაციამ და განსაკუთრებით სამაზრო მილიციის უფროსმა ახვლედიანმა დიდი ენერგია გამოიჩინა ყაჩაღთა ბრბოს განადგურებაში. ქალაქში მეყასპეთა გაფიცვები გრძელდება. ქალაქის გამგეობამ ენერგიული ზომები მიიღო გაფიცვების შესაწყვეტად.

— ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოში. სოფ. ქარელში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

— ქუთაისი. 5 ოქტომბერი. თანახმად მთავრობის განკარგულებისა ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალი ერობის ხელში გადავიდა. ჰოსპიტალთან იხსნება სავადმყოფო ერობის მოსამსახურეთათვის. აქვე გაიხსნა სამაზრო ცენტრალური აფთიაქის საწყობი.

— სომეხ ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ, რომ არტაანიდან ახალქალაქში 800 ლტოლვილი სომეხი ჩასულა. ადგილობრივ ადმინისტრაციამ მათ ნება მისცა ორი დღით დარჩენ. დეპეშით თხოულობენ დახმარებას:

— არტისტიულ საზ. შენობა. მთავრობის კომისიამ ვ. დადვაძეს თავმჯდომარეობით მიიღო შენობა არტ. საზ. ავანსად სიღნაღელისაგან. ამჟამად სათეატრო ქონების მიღება სწარმოებს ფილოევისაგან.

პატარა ფელეტონი.

სიზმრების ახსნა.

— სიზმარში კომუნისტი ნახო,—თეთრი პური სჭამო.

—

— დეზერტირების ბაზარი ნახო,—უკანასკნელი საცვალი გაჰყიდო,

—

— გრიგოლ ვეშაპელი ნახო,—წუმპეში მოითხვარო, ან და უსათუოდ გეჩხუბოს ვინმე.

—

— სპეკულიანტი ვინმე ნახო და ეშმაკს არ შეაფურთხო,—ორი დღე მშიერი იარო.

—

— სიზმარში ჯამაგირს გიმატებდნენ,—ყოველისფერი ერთი-ორად გაძვირდეს.

—

— მომარაგების სამინისტრო ნახო,—პურში თაგვის კუდი შეგხვდეს.

—

— მომარაგების მინისტრი ნახო,—ფული დაგაკლდეს, ანგარიში აგეწეწ-დაგეწეწოს.

—

— ამავ სამინისტროს რწმუნებული კახელაძე ნახო,—მთელი ქონება გაგეფლანგოს.

—

— ,,ერთობის'' მეპრესე ,,განი'' ნახო,—შენს აზროვნებას მშიერ ვექილის დამბლა დაეცეს და სიგრძე-სიგანე შეუმოკლდეს.

—

— ყველა ამას შემდეგ წყნეთელი სახედარი ნახო,—ხუთი საათი ნახშირის „ოჩერედში“ იდგე და ხელცარიელი გამობრუნდე...

მალალ კარელი.

იტალიური საკოლონიო სინდიკატის წარმომადგენელი ჩვენში.

ამ დღეებში იტალიიდან ქ. ბათუმში ჩამოვიდა ინჟენერი ერალდო კრუმი, დირექტორი ყველაზედ ძლიერი სავაჭრო სამრეწველო საზოგადოებისა, რომელიც ცნობილია ,,იტალიურ საკოლონიო სინდიკატი''ს სახელით.

იმავე დროს ინჟ. კრუმი არის მთავარი დირექტორი ამიერ კავკასიაში მომქმედ სააქტიო საზოგადოება ,,საგო''სი, რომელიც არსებითად არის იტალიურ საკოლონიო სინდიკატის ფილიალი განყოფილება.

ინჟ. კრუმი ამ დღეებში ჩამოდის თბილისში და მოლაპარაკებას იქონიებს რესპუბლიკის მთავრობასთან სავაჭრო-სამრეწველო საკითხებზე.

ჩვენი კორესპონდენტები

ხონი.

(დასასრული)

ივანდიდის უბნის მცხოვრები, რიცხვით თერთმეტს (თითოს აქვს 7-12 ქცევა მიწა) მოუვიდათ შემდეგი შინაარსის ქაღალდი. ივანდიდის მიწის მუშათა კავშირის საბჭო ამით გაცნობებთ, რომ თქვენი მიწა (სივრცის ამდენი) გაიცა კავშირმა ამა და ამ პირზე და წინადადებას გაძლევთ ხელი არ შეუშალოთ მას დაამუშაოს ეს მიწა, წინააღმდეგ შემთხვევაში სათანადო ზომები იქნება მიღებულიო.'' ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. აზის კავშირის ბეჭედი. მესაკუთრის სურვილის წინააღმდეგ სჩადის დაუკითხავად კავშირის წევრი მის მამულში და ამუშავებს მას. მესაკუთრეებმა ეს არამკითხე ვაჟბატონები არ შოუშვეს თავის მამულში და, ვინც ჩავიდა, აიძულეს დაეტოვებინათ მამული. ამის გამო შეიკრიბა მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილი და შემდეგი დადგენილება გამოიტანა. გამოეცხადოს კავშირის დადგენილების მოწინააღმდეგე მესაკუთრეებს ბოიკოტი შემდეგი სახით: დაეკეტათ საკუთარი წისქვილი (დაუკეტეს კიდეც), არ მიცეს მუშა ხელი, ძალით გაიყვანონ მათი მოჯამაგირეები, არ გაელაპარაკოს არავინ; ღვდელს აეკრძალოს ღვდელ მსახურება და მათ ეკლესიაში შეშვება, არ მიეცეს ექიმი, არ გაუშვან მათი შვილები შკოლაში. ვინც ამას დაარღვევს ალაგმულ იქნას ყველა საშუალებებით.

ამის სისრულეში მასაყვანათ არჩეულ იქნენ კაცები, ეს-იგი ტერორისტები. დაბეჭდეს განცხადებები, დააკრეს ბეჭედი, მოაწერეს ხელი და გააკრეს ყოველგან. ამბობენ, მილიციონერები აკრავდენ განცხადებებსაო, ყოველა მოქალაქეს წინადადებას აძლევდნენ შეეწყვეტათ ჩემოხსენებულ პირებთან ყოველგვარი კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდენ სასტიკი ზომებით. აღსანიშნავია, რომ განცხადებებში, ბოიკოტის მიზეზს არ ასახელებდნენ. და დასცეს შიშის ზარი უდანაშაულო პირებთ რამოდენიმეჯერ დაეცნენ თავზე და ძალით გაურეკეს მოჯამაგირეები. ძალით გამოაგდეს წისქვილიდან მეწისქვილე უკანასკნელის სურვილს წინააღმდეგ და დაუკეტეს წისქვილი. და ბავშს დახვდნენ გზაში და სასწავლებელში არ გაუშვეს. ერთი სიტყვით, ააწიოკეს ოჯახები. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეთაურებში ერივნენ ისეთებიც, რომლებმაც 70—90 ხმა მიღო კენჭის ყრის დროს, რომ ქურდია. როცა გაიგეს, რომ მთავრობა ასეთი სახის ბოიკოტის გამოცხადების ნებას არ მისცემდა, მოხსნეს ბოიკოტის უკანასკნელ სამი მუხლი, დანარჩენი დასტოვეს. უდანაშაულოდ დასჯილებმა ამოიღეს ხმა. შეატყობინეს დეპეშით მთავრობას, სთხოვეს შველა. პრესასაც ეცნო ეს ამბავი. ჩამოდის ხონში ბ-ნი თედო ღლონტი და უწონებს ამხანაგებს ასეთი კავშირის დარსებას, რომელიც უხლოვებს, მისი აზრით, მათ სოციალიზაციას. გამოსაძიებლათ ჩამოდის შრომის კომისარი ურუშაძე და მაზრის კომისარი ახვლედიანი. გამოძიების მაგივრად მათ მოარიგეს მესაკუთრეები კავშირის და წავიდენ უკან. მათი წასვლა და ამ მორიგების დაშლაც მოხდა.

ქ-ნ გალდავაძისამ უარი ათქმევინა კავშირს დადებულ პირობებზე და კვლავ გაგრძელდა დევნა უდანაშაულო პიროვნებისა. კვლავ ეცნობა ეს მთავრობას გამოცხადდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ რომ გამოსაძიებლად ჩამოვა სამინისტროს რწმუნებული ჩადუნელი. მაგრამ ის თვალითაც არვის უნახავს ხონში.

უცხადებენ მესაკუთრეები მილიციის უფროსს, თუ როგორ აწუხებენ მათ. მაგრამ მილიციის უფროსი ამ შემთხვევაში ყურ-მოჭრილი მონა გამოდგა ქალაქის თავის მეუღლისა. თვით სოციალ-დემოკრატები ბევრი გაკვირვებულ იყვნენ ამ კანონებით, მაგრამ რას გახდებოდნენ „ამხანაგების“ საქმე იყო. ამ ხანებში გამოქვეყნდა გაზეთებში მიწათ მოქმედების მინისტრის ბრძანება: ის ჰგმობდა ასეთს კავშირებს, მათ მოქმედებებს და წინადადებას აძლევდა თვითმართველობებს და მილიციის უფროსებს სასტიკი ზომები მიეღოთ ურჩების წინააღმდეგ. რა გამოვიდა! ხონის რესპუბლიკას თავისი კანონები აღმოაჩნდა და ხონის ქალაქის თვითმართველობას და მილიციის უფროსს თანაშემწეს სიზმრადაც არ ეყოთ მინისტრის ასეთი ბრძანება. ისინი, პირიქით, ხელს უწყობდნენ ამ არეულობას, რაიც სჩანს იქიდან, რომ მაზრის კომისარი ავალებდა მილიციის უფროსს გამოეცხადებინა ივანდიდის მცხოვრებთათვის, რომ დაუშვებელია ასეთი მოქმედებაო. ეს ქაღალდი მთელი თვეობით ატარა ივანდიდის უბნის კომისარმა ჯიბით და არც შეასრულა დავალება. მინისტრის ბრძანებაზე ფედერალისტები გაიძახოდნენ: „ასეთ მოქმედებისათვის მინისტრს მიხვდება ხალხიდანო“. ჩამოდის ხონში მაზრის კომისარი ახვლედიანი და უცხადებს მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს „თუ ვინმემ არ ჩაუშვას მესაკუთრის ყანაში მესაკუთრის მიერ არჩეული მუშა, დაუყონებლივ დაატუსაღე და გამომიგზავნეო.“ ისინიც ჰპირდებიან ასრულებს. შედეგი? მოდის მესაკუთრე და მუშა მათთან, სჩივიან ამა და ამ პირმა არ ჩაგვიშვა ჩვენს საკუთარ მამულშიო. მილიციის უფროსი უყურადღებოთ სტოვებს მათ საჩივარს. ან კი რა ჰქნას ქალაქის თავის წინააღმდეგ როგორ უნდა წავიდეს! დახვდნენ მუშას, რომელიც მოდიოდა მესაკუთრის ყანაში კავშირის ნება დაურთველად, წაართვეს საჭრელი და სცემეს. ძლივს გადაარჩინეს ცოცხალ-მკვდარი მუშა. მიდის მუშა საჩივლელათ. შედეგი? არაფერი, საკუთარი სარწყავი აქვს მესაკუთრეს. მივიდნენ და წაუხდინეს სარწყავი და ამ გვარად დარჩა დაუმუშავებელი მათი ყანა. ვინც არ დაემორჩილა კავშირის განკარგულებას, ყველას ბოიკოტი გამოუცხადეს. ქალაქის საბჭო ინვარში ყანების დამუშავების უკანასკნელ-ვადათ არდგენს 23 მაისს. შემდეგ კი უნდა ჩამოერთვას მიწები და გასცეს ქალაქმა სამეათედოთ. ინვრის დადგენილებას საბჭო აცხადებს მხოლოდ მაისის შუა რიცხვებში. მარტიდან დაწყებული 18 მაისამდინ არ მოდის წვიმა. მიწების დამუშავება შეუძლებელი ხდება, მესაკუთრენი მაინც მუშაობენ. მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, ამუშავებენ თავის მიწას. მოდის 18 მაისს წვიმა. იწყებენ 19-ს. 20 მაისი უქმია, მუშაობა არ შეიძლება. 23 მაისი კვირა დღეა. ამ რიგათ წვიმის შემდეგ ვადის დასრულებამდინ სამუშაოთ რჩებათ მხოლოდ სამი დღე. მესაკუთრეები ატყობენ, რომ ვერ ასწრებენ. შეაქვთ დასაბუთებული თხოვნა ქალაქის გამგეობაში. სთხოვენ ვადის გაგრძელებას ერთი კვირით. გამგეობა უარს ეუბნება. ორშაბათს 24 მაისს დილიდანვე მუშაობენ. ორშაბათს საღამოს ჩამოუვლის უბნის კომისარი და დაუმუშავებლის და აგრეთვე ორშაბათის დამუშავებულ მიწებს ართმევს და აძლევს კავშირის წევრებს. მესაკუთრეები ჰგზავნიან დეპეშას მთავრობის თავმჯდომარესთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან და მიწათ მოქმედების მინისტრთან. სთხოვენ დახმარებას. აღსანიშნავია, რომ კავშირის წევრებისათვის ვადის შემდეგაც არ ჩამოურთმევიათ მიწა. აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონში და სხვაგან ივნისის დამლევამდინ იხვნებოდა მიწები, მაგრამ არვისთვის არ ჩამოურთმევიათ მიწები. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ ქალაქის თავის ბ-ნ გალდავაძის მიწები ვადის შემდეგ მუშავდებოდა, მაგრამ ის რომ თვით კანონის გამომცემია და ვის უნდა ეხლო ხელი მისთვის! რას შვრება მთავრობა? აცნობებს ქალაქის გამგეობას. უკანასკნელიც შესაფერ პასუხს აძლევს მინისტრებს და საქმე იძირება. ასე ხდებოდა ძველადაც როცა ბოქაულზე იჩივლებდი, მაშინვე მიანდობდენ საქმის გამოძიებას და ყველამ კარგათ იცით თუ რით თავდებოდა საჩივარი ეხლაც ასე მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იჩივლეს ქალაქის გამგეობის უკანონობაზე და ქალაქის გამგეობასვე მიანდვეს საქმის გამოძიება. მიწათ მოქმედების სამინისტრო კი აცნობს საქმის გამგეობას ხონის რაიონის აგრარულ კომისიას. უკანასკნელი იბარებს მოწმეებს. პარტიების წარმომადგენლებიც ესწრებიან. იწყება გამოძიება. გამომძიებლათ ,,ამხანაგები'' არიან, რომელთაც არაფერი ესმით გამოძიების. და რა ირკვევა? ყველა მოწმეები ერთნაირად აჩვენებენ, თუ რა უკანონოთ მოეპყრენ კავშირი და ქალაქის გამგეობა მესაკუთრეებს. გამომხ[illegible] უნდა მთელი რიგი აშკარა ბოროტ-მოქმედებათა. აღმოჩნდა, რომ ტერორისტული ნაბიჯებიც კი გადაუდგამთ მშვიდ მესაკუთრეების წინააღმდეგ. გვარიც კი იქნა დასახელებული ტერორისტის: მანჯაიშვილი. ამ პირს ყველა ასახელებს და ახასიათებს როგორც არა კეთილ საიმედო პიროვნებას. უკანასკნელის ხმა ეხლაც გადავარდნილია. აღიარებს აგრეთვე ყველა, რომ ქალბატონ გალდავაძისამ გადაკიდა საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს. გამომძიებლები სცდილობენ ბევრი რამ მოწმეების ჩვენებიდან არ ჩასწერონ, მაგრამ მოწმეების მოთხოვნით იწერება ყველაფერი. კომისია ითხოვს პარტიის წარმომადგენლებს და გამოაქვთ გადაწყვეტილება, რომელსაც დღესაც არ აცხადებენ. მესაკუთრეებმა შეიტანეს თხოვნა ქალაქის საბჭოში, მოითხოვენ გამგეობის დადგენილების შეცვლას. საბჭოში ეს თხოვნა ძევს სამი თვე და არ ეღირსა განხილვა უკანასკნელათ მივიდენ ამბის გასაგებათ. და მიიღეს შემდეგი პასუხი: გამგეობამ საჭიროდ არ სცნო თქვენი თხოვნის გადაცემა საბჭოზეო. მესაკუთრეებმა მოითხოვეს წერილობითი უარი. გამგეობამ ამაზეც უარი უპასუხა თხოვნაც არ დაუბრუნა; დატუსაღების დამუქრებით და ლანძღვით გამოყარა გარეთ მთხოვნელნი ოლქის სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებაში.

შეიძლება საბჭოს დადგენილების გასაჩივრება. საბჭო კი არ იხილავს თხოვნას რა ჰქნას? როგორ მოიქცეს მესაკუთრეები? ვინ არიან მათი დამცველნი? არავინ! ამ დღეებში კიდევ კავშირის საბჭომ განცხადება გააკეთა; მას თვით დაუდგენია, თუ რა მიეცეს დასამუშავებლათ აღებულ მიწიდან მესაკუთრეს. ვინც არ დაემორჩილება, ემუქრებიან სასტიკი ზომებით. კვდება ადამიანი. ჭირისუფალი სხვებთან ერთად იწვევს ბოიკოტ გამოცხადებულებსაც. ბოიკოტ გამოცხადებულებს კავშირის გამგეობის წევრები არ უშვებენ ეზოში ნათესავის სატირლათ. ჭირისუფალს მოწვეული ჰყავს. არამკითხე ვაჟბატონებს კი უკრძალვენ ტირილს. ყველა ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ხონში განსაკუთრებული საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელიც სჩადის ყოველგვარ უკანონობას მცხოვრებლებისადმი და პასუხს კი არავის არ აგებს. ვინ არიან ამის მოთავენი! ქალაქის თავი ბ-ნი ვალერიან გალდავაძე, მისი ნაკურთხი მეუღლე საბჭოს ხმოსანი და მდივანი ნადეჟდა გალდავაძისა.

ქალაქის გამგეობის წევრი ეფრემ ჩახუნაშვილი, და მასწავლებელი ნიკოლოზ ჩხენკელი; უკანასკნელი დათვრება (თითქმის მუდამ მთვრალია), გამოვა ბაზარში და ემუქრება მესაკუთრეებს ალაგმით. ესენი არიან კანონმდებელნი და აღმასრულებელი კი ადმინისტრაციიდან მილიციის უფროსის თანაშემწე ივანე მებუკე, რომელიც ყურმოჭრილ მონასავით ასრულებს მათ ბრძანებას. აი ეს არის ხონის რესპუბლიკის სრული სურათი. არვინ არ არის გამკითხავი და ვკითხულობთ, როდემდის ვიქნებით ამ მდგომარეობაში როდემდის?

ადგილობრივი.

მაზანდა

სავაჭრო—სამრეწველო პოლიტიკის ცნობით 5 ღვინობისთვის თბილისში შემდეგი ფასები იყო საქონელზე:

ძროხის ხორცი	გირ.	80 მ.
ცხვრისა		100 მ.
ყველი		200 მ.
კვერცხი 1 ცალი		20 მ.
თეთრი ფქვილი ფუთი		6000 მ.
აქური		2700 მ.
სიმინდისა		2000 მ.
ხორბალი		2500 მ.
სიმინდი		1500 მ.
ლობიო		1200 მ.
სპარს. ბრინჯი		8.800 მ.
შაქრის ფხვნილი		10.000 მ.
ხახვი	გირვ.	20 მ.
კომბოსტო		12 მ.
კარტოფილი		23 მ.
კაკალი ფუთი		2100 მ.
თხილი		1900 მ.
ქვამარილი		1500 მ.
თივა	ფ.	150 მ.
ქერი		1400 მ.
ბზე		120 მ.
ნავთი		340 მ.
შეშა	საჟ.	15.000 მ.
საპონი სარეცხი		8000 მ.
წუწუმა ათასიცალი		5500—7500 მ.
ფანჯრის შუშა	1 ვერშ.	8—12 მ.
ჯაკარი გაურჩეველი ფუთი		35000 მ.
გარჩ—ჯაკარი		70000 მ.
ბამბა გაწმენდილი		7000 მ.
გაუწმენ.		4500 მ.
სააზეთო ქაღალდი ფუთი		6000 მ.
წიგნის ქაღ.		10000 მ.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3-მე კურსელი
სტუდენტი იღებს
მაკვეთილებს
იკითხეთ ეროვნულ დემოკრატიულ ბიუროში, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 დილის 8—1 საათამდე. უფ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო მთავარი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის ხახულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელ ს“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს.
ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.
თვ. 43

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ.
არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე.
3102.თვ.

მატარებლის მიმოსვლა.

თბილისიდან მიდის.

ბორჯომამდის	№ 17	7. 52
ბორჯომში ჩადის		2. 09
ფოთამდის	№ 3	9. 56
ფოთში ჩადის		10. 20
ბორჯომამდის	№ 19	2. 30
ბორჯომში ჩადის		8. 00
ბათომამდის	№ 17	8. 00
ბათომში ჩადის		9. 00
ბათომამდის ჩქარი	№ 5	11. 44
ბათომში ჩადის		11. 27
თელავამდის		8. 30
ქუთაისამდის	№ 9	9. 50
ქუთაისში ჩადის		6. 00
სანაინამდის		1. 40
სალ-ოღლამდის		10. 10

თბილისში მოდის.

ბორჯომიდან	№ 20	12. 30
თბილისში მოდის		6. 30
ქუთაისიდან	№ 12	11. 47
თბილისში მოდის		9. 30
ბათომიდან ჩქარი	№ 6	11. 00
თბილისში მოდის		12. 12
ბათომიდან	№ 8	3. 50
თბილისში მოდის		7. 44
ფოთიდან	№ 4	8. 25
თბილისში მოდის		7. 47
თელავიდან		7. 00
სანაინიდან		11. 30
სალ-ოღლიდან		4. 25

სპ. კედიას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში

(ბიუჯეტის გარჩევის დროს).

აქ წამოყენებული იყო შემდეგი პრინციპი: სახელმწიფო მეურნეობაში უნდა ჩაერთოსო.

(თ. ღლონტი: სავსებით!)

ბ-ნი ღლონტი მომხრეა რომ ეს დღესვე მოხდეს. თუ ეს მოხდა, ჩვენ დავიღუპებით ისე როგორც რუსეთი დაიღუპა. მაგრამ, ბ-ნი ღლონტის სამწუხაროდ, ეს ჩვენში არ მოხდება. დღეს ამ საკითხს პრინციპიული დავის ხასიათს ნუ მივსცემთ, არამედ დავაფასოთ იმ მხრივ თუ რა მოგვიტანა იმ თითოოროლმა შემთხვევამ, როდესაც ეს პრინციპი ცხოვრებაში გადვიტანეთ. ეს პრინციპი იმდენათ არის მისაღები, რამდენადაც იგი წინ სწევს ყოველ არსებულ მომენტში ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობას. თუ ჩვენი მიზანია ქვეყნის ნივთიერი აყვავება, და თუ ეს პრინციპი ამას ხელს უშლის დღევანდელ პირობებში, ეს პრინციპი უნდა უკუვაგდოთ და ძველი ნაცადი გზით საქმეს მოუაროთ. ამ ორი წლის განმავლობაში იყო რამოდენიმე ცდა, ახალი ექსპლოატაციის მოწყობისა სახელმწიფოს აპარატის ჩარევის. ასე მაგალითად მთავრობამ სცადა ილდოყანში და ფხოველში ნავთის წარმოება მოეწყო. მთავრობამ საქმე წამოიწყო, შიგ მილიონები ჩაყარა და ბოლოს იძულებული იყო მუშაობაზე ხელი აეღო, და საქმის ლიკვიდაცია მოეხდინა. ხალხის ჯიბის ხარჯზე ამგვარი ექსპერიმენტების წარმოება ყოვლად შეუწყნარებელია. (ხმა ადგილიდან: კერძო წარმოებაზე?) კერძო წარმოება თუ იზარალებს, ეს მწარმოებლის საქმეა; მისი ზარალი არ ურტყამს გადასახადის ობიექტ-მოქალაქეს. მაგრამ როდესაც მთავრობა კისრულობს ამგვარ საქმეს, ის ამ საქმეში ძალა უნებურად მთელ ხალხს ითრევს და მის ჯიბიდან იღებენ ზარალის დასაფარავ თანხას. ამიტომ მოქალაქე არ მოისურვებს, და ამის საბუთიც აქვს, მთავრობის ექსპერიმენტის სხვერპლად თავი გაწიროს. მთავრობამ ვერ იხეირა ტყიბულის ქვანახშირის დამუშავებაში და არა ერთი ასი ათასი მანეთი აქვს წაღებული დეფიციტის დასაფარავად. ეს ცდები გვიჩვენებენ, რომ მთავრობას არ შეუძლიან შექმნას მეურნეობა და სათავეში ჩაუდგეს ცოცხალ წარმოებას.

მაგრამ იქნებ ვინმემ სთქვას: რა კი მთავრობას არ შეუძლიან თვით დაამუშავოს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, იგი ამას უცხო კაპიტალს დაამუშავებინებსო. მაგრამ ბ-ნო, ჩვენში გამეფებულია ისეთი პირობები, რომელიც უშლის ხელს უცხო კაპიტალს და სანამ ეს არ მოისპობა, უნაყოფოდ დარჩება ყოველი ცდა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებისა უცხო კაპიტალის საშუალებით. მე სახეში მაქვს მუშათა საკითხის მოუგვარებლობა ჩვენში. მმართველი ხელისუფლება და დამფუძნებელი კრება თავისი სოციალისტი წევრების სახით მარტოდ მუშის ინტერესს იცავენ, კაპიტალის საზარალოდ; ესენი კაპიტალს ებრძვიან და ამას შემდეგ რომელი ბრიყვი შემოიტანს თავის კაპიტალს საქართველოში. ამიტომ ვინც დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური გაჯანსაღებით, ამას ანგარიში უნდა გაუწიოს და შექმნას ნორმალური პირობები კაპიტალსა და შრომას შორის. თუ ეს ასე არ მოხდა, ჩვენ უცხო კაპიტალს ვერ შემოვიყვანთ.

თავმჯდ. თქვენ სამი წუთი ღა დაგრჩათ.

ეხლა მინდა, რამოდენიმე მაგალითი მოგახსენოთ, თუ როგორ უვლიან სამინისტროები სხვა და სხვა ქონებას, რომელიც მთავრობას მემკვიდრეობით დარჩა ძველ რეჟიმისაგან. მე გადაკითხული მაქვს რევიზიის მოხსენება და ვფიქრობ ყველას უნდა აინტერესებდეს ეს მოხსენება. მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო რამოდენიმე წუთით ბორჯომის წყალს—თუ ჩემი ცნობები მართალი არის. ბორჯომის წყლის შესახებ, სამჯერ დაიწერა პირობები სხვა და სხვა მოიჯარადრეებთან. ეს პირობები იცვლებოდა სხვა და სხვა მოიჯარადრის სასარგებლოდ.

ხომერიკის რეპლიკა რომელიც არ ისმის.

სპ. კედია. დიახ! მე მინდა თქვენგან მივიღო მხოლოდ დამაკმაყოფილებელი პასუხი, მეტი არაფერი. მე ვიცი უკანასკნელი პირობა, რომელიც დაიდვა 1919 წელს აპრილის 2. ამ პირობით ბოთლით ბორჯომის წყალი მოიჯარადრეს ეძლევა 3 მან.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ეს პირობა საჯარო ვაჭრობის დაუნიშნავად დაიწერა, შეიძლება ფორმალურად ამ წესის გაბათილება ძნელი არ შეიქნეს, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია სახელმწიფო მამულის გაცემა ასე დამალულად ხდებოდეს. მიუცილებლად საჭიროა, რომ სახელმწიფო ქონების გაცემის დროს ხდებოდეს საჯარო შეჯიბრება, უნდა დაინიშნოს საჯარო ვაჭრობა. როცა ეს წესი დაცული არ არის, ადამიანი კმაყოფილი ვერ რჩება და მითქმა-მოთქმისათვის ფართო ასპარეზი იშლება. გონიერი ნაბიჯი ამის შესაძლებლობასაც უნდა შეუძლებელს ხდიდეს, ამ საქმეში მე არ მინდა დავინახო რამე ბოროტი განზრახვა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ შეუძლებელია ასე შინაურულად, არა საჯარო ვაჭრობით გაიცეს ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მამული. როგორიც არის ბორჯომის წყალი. ეს არის აღნიშნული კონტროლის მიერაც და ამას უნდა მიაქციოს ყურადღება დამფუძნებელმა კრებამაც.

თავმჯდომარე: თქვენი დრო გავიდა.

კედია: გთხოვთ მომცეთ კიდევ 10 წუთი.

ხმები: ,,დიდი სიამოვნებით'' ,,განაგრძეთ''.

სპ. კედია. შემდეგ, მოხსენებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ პირობები დაწერის დროს არ ყოფილა მოწვეული არც სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი და არც სახელმწიფო მამულის გამგე. ცხადია ის პირი, რომელიც გამგეთ ითვლებოდა, პირობების დაწერის დროს მოწვეული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იმან დაახლოვებით იცოდა მამულის მდგომარეობა.

ხომერიკი: საიდან მიიღეთ ეს ცნობები, რომ გამგე არ იყო მოწვეულიო.

კედია: ეს მოხსენებაშია აღნიშნული.

სპ. კედია: ეხლა თან არ მაქვს მოხსენება, მაგრამ ხვალ მოგართმევთ. იქ სწერია, რომ... (ხმაურობა ზარი).

შენგელაია. იქ რაც სწერია მართალია.

სპ. კედია. მოხსენებაში სწერია, რომ პირობა დაიწერა კონტროლის წარმომადგენელის და მამულის გამგის დაუსწრებლად. მე მგონია, რომ საქმის ინტერესი მოითხოვდა, რომ იმ დროს იქ ყოფილიყო ორივე მხარე. ამ შემთხვევაში მიწათ-მოქმედების მინისტრის მოქმედება დასაწუნარია.

ს. დადიანი ეს სწერია მოხსენებაში.

სპ. კედია. ხელშეკრულების მესამე მუხლის ძალით ორ- სამ თვეში შეიძლებოდა ფასის გადიდება, მაგრამ მოხსენების მიხედვით 5 თვეს გაუვლია და ფასი უწყებას არ გაუდიდებია მიუხედავათ იმ ისა, რომ ხაზინა ზარალობდა, სამინისტრო არავითარ ღონისძიებას არ იღებდა რომ ეს ზარალი შეემცირებია. ყოვლივე ეს მოხსენებაშია აღნიშნული და სასურველად არ მივიჩნიე მისთვის გვერდი ჩაგვევლო სიჩუმით.

ყოველ შემთხვევაში ამ 5 თვის განმავლობაში არავითარი ახალი განკარგულება არ გაუცია უწყებას და წყალი იყიდებოდა საზარალოთ ხაზინისათვის.

ს. დადიანი : ქებაძემ იზარალა?

სპ. კედია: მოხსენებაში ნათქვამია, რომ თითო ბოთლში ხაზინა 2 მანეთს ზარალობდა. სულ მოუტანიათ 595 250 ბოთლი, ასე რომ საერთო ზარალი ამ წლის განმავლობაში იმავე მოხსენებით უდრის 1,200,000 მანეთს თუ ეს მართალია მე მგონია დამფ. კრების უმრავლესობამ არ უნდა მოიწონოს უწყების მუშაობა და დაჰგმოს მისი ამგვარი საქმიანობა.

ხ. გელაშვილი: არ უზარალნია.

სპ. კედია: აქ მაქვს ხელთ ივლისის ნუსხა. ივლისში თითო ბოთლი ჯდებოდა 5—18 მან. ხოლო დადებულ ხელშეკრულების ძალით იყიდებოდა 2 მან. ზარალი აშკარაა.

რადგანაც მეტი დრო აღარ მაქვს, მე არ შევჩერდები იმაზე, თუ რა ხდება სხვა სამინისტროებში, სხვა განყოფილებაში. მაგრამ ეს ერთი ნიმუშიც დამახასიათებელია. თუ ასეა, სხვაგან მაშინ ცხადია რომ ჩვენი სამინისტროები საზარალოდ მეურნეობენ. თუ ეს ყველაფერი მართალია დამფ. კრების უმრავლესობამ უნდა გამოიჩინოს იმდენი გამბედაობა და სიმტკიცე, რომ თავის მინისტრს უსაყვედუროს საჯაროდ ის რასაც იქ ვიწრო ფრაქციის კარებ დახურულ ოთახში უსაყვედურებენ.

მე ვისურვებდი, რომ პასუხისმგებელმა უწყებამ მოქცეს დამაკმაყოფილებელი განმარტება. თუ საბუთებით იგი გაჰფანტავს იმ კანონიერ გულისწყრომას, რომელიც აქ მოყვანილმა ფაქტებმა უნდა წარმოშვან, მე ძალია მოხარული ვიქნები, თუ არა და ამ გულისწყრომამ, პოლიტიკური სანაზღაურო უნდა მიიღო!

თავმჯდომარე სესამე საათი არის როგორ ინებებთ? ამბობენ რომ ქვორუმი არ არისო. გთხოვთ დათვალოთ.

ქვორუმი გახლავთ რომელ საათამდე გნებავთ გაგრძელდეს.

(ხმები: ,,4 საათამდე'') კრება 4 საათ. გრძელდება.